| საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთი | Re | 9,40% |
| სასესხო კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი | Rd | 12,00% |
| საკუთარი კაპიტალის ოდენობა ლარებში | E | 38 810 000 |
| სასესხო კაპიტალის ოდენობა ლარებში | D | 304 500 000 |
| მოგების გადასახადის განაკვეთი | T | 15% |
| კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი | WACC | 10,16% |

განგარიშებაში გამოყენებული დატვირთული კაპიტალი შედგება იმ ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისგან, რომლებიც აუცილებელია მომსახურების მისაწოდებლად, თავიდან, პირველ ეტაპზე გამოიყოს ის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რომელიც დაკავშირებულია 2G მომსახურების მიწოდებასთან. შემდეგ ამ აქტივებიდან ტრაფიკის პროპორციული წილის მიხედვით მოხდა აქტივების ნეტო საბალანსო ღირებულებების მომსახურების სახეობზე გადანაწილება. ცხრილი N 3.11 -ში მოცემულია ინფორმაცია დატვირთული კაპიტალის გადანაწილების შესახებ.

ცხრილი N 3.11

| | 2012 | | | 2013 5 თვე | | |
|---|--------------------|--------------------|-------------------|--------------------|-------------------|-------------------|
| | ნაშთი | ხმოვანი | ურთიერთჩართვა | ნაშთი | ხმოვანი | ურთიერთჩართვა |
| დაუმონტაჟებული მოწყობილობები | 17 671 335 | | | 17 964 816 | | |
| მიწის ნაკვეთები - ტექნიკური დანიშნულ. | 1 669 111 | 845 914 | 203 474 | 1 669 111 | 865 463 | 195 732 |
| მიწის ნაკვეთები - ადმინისტრ. დანიშნულ. | 355 682 | 189 406 | 88 290 | 355 682 | 219 795 | 39 979 |
| შენობა ნაგებობები | 5 456 001 | 3 513 938 | 845 232 | 5 408 702 | 3 563 978 | 806 025 |
| 2G კავშირგაბმულობის მოწყობილობები | 101 902 056 | 65 630 026 | 15 786 450 | 93 291 605 | 61 473 010 | 13 902 670 |
| სატელეკომუნიკაციო არხების მოწყობილობები | 558 555 | 359 737 | 86 530 | 566 544 | 373 315 | 84 429 |
| ქსელის გასაზომი მოწყობილობები | 290 726 | 187 242 | 45 039 | 232 334 | 153 093 | 34 623 |
| ქსელის სხვა დამხმარე მოწყობილობები | 21 146 542 | 13 619 432 | 3 275 977 | 18 764 957 | 12 364 868 | 2 796 425 |
| გადამცემი მოწყობილობები | 3 015 997 | 1 942 453 | 467 232 | 2 780 530 | 1 832 186 | 414 365 |
| საოფისე მოწყობილობები | 10 756 652 | | | 9 494 992 | | |
| ავეჯი | 505 269 | | | 488 414 | | |
| სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობები | 415 | | | 226 | | |
| ავტოტრანსპორტი | 1 066 291 | | | 928 525 | | |
| სააბონენტო მოწყობილობები(ქსელის საზომი) | 1 052 | | | -75 | | |
| ლიცენზიები | 26 213 666 | 11 593 904 | 6 811 213 | 21 599 246 | 9 547 089 | 5 493 023 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 113 391 | 54 250 | 13 096 | 177 570 | 86 688 | 20 087 |
| სავაჭრო ნიშნები | 3 867 | 1 850 | 447 | 3 455 | 1 687 | 391 |
| პროგრამული უზრუნველყოფა | 6 282 743 | 3 005 897 | 725 638 | 5 461 092 | 2 666 063 | 617 777 |
| ჯამი | 197 009 349 | 100 944 049 | 28 348 618 | 179 187 726 | 93 147 234 | 24 405 527 |
| სულ | | 129 292 667 | | 117 552 761 | | |

განმარტება: თავიდანვე კომპანიის დატვირთული კაპიტალი გადანაწილდა ყველა მომსახურებაზე ცალ-ცალკე მათ შორის საცალო ხმოვან მომსახურებაზე და ურთიერთჩართვის მომსახურებაზე, კომპანიის ქსელში სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების ტარიფის გაანგარიშების მიზნებისთვის ურთიერთჩართვის მომსახურებაზე და საცალო ხმოვან მომსახურებაზე მიკუთვნებული კაპიტალი დაჯამდა და ამ სახით მიიღო მონაწილეობა კომპანიის ქსელში სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების ტარიფის გაანგარიშებაში.

ბოლო ეტაპზე ურთიერთჩართვის ტარიფის გასაანგარიშებლად წინა ეტაპზე ცხრილი N 3.8 -ში განაწილებით მიღებულ საოპერაციო ხარჯებს დაემატა დატვირთული კაპიტალის ხარჯი და მიღებული შედეგი გაიყო ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის ოდენობაზე. ცხრილი N 3.12-ში მოცემულია გაანგარიშების შედეგები.

| | 2012 | 2013 წლის 5 თვე |
|--|---------------|-----------------|
| 2G ხმოვან საქმიანობაზე გადანაწილებული დანახარჯები, ლარი | 73 958 728 | 32 306 964 |
| 2G ხმოვან საქმიანობაზე გადანაწილებული აქტივები ნარჩენი ღირებულებით, ლარი | 129 292 667 | 117 552 761 |
| WACC% | 10,20% | 10,20% |
| 2G ხმოვან საქმიანობაზე საქმიანობაზე გადანაწილებული ტრაფიკი, წთ | 2 455 807 390 | 1 170 224 234 |
| წუთის თვითღირებულება დღეს და აქციზის გარეშე | 0,035 | 0,032 |
| ურთიერთჩართვის ტარიფი დღეს-ს და აქციზის გათვალისწინებით | 0,046 | 0,041 |

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა ქვემოთ შენიშვნების გათვალისწინებით შპს „მობიტელის“ მიერ წარმოდგენილ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელში შეიტანა მაკორექტირებელი გაანგარიშებები:

ა) ურთიერთჩართვის ხარჯი არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ გადანაწილების საშუალებით ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებში არ უნდა მონაწილეობდეს;

ბ) მობილური ხმოვანი და ურთიერთჩართვის ხარჯების ჯამიდან კომერციული ხარჯების და გაყიდვების ოფისების ხარჯების სხვაობის გამოკლება წარმოადგენს გაანგარიშებაში დაშვებულ არითმეტიკულ შეცდომას, ეს ხარჯები ან ცალ-ცალკე უნდა გამოაკლდეს ზემოაღნიშნულ ჯამს ან ამ ხარჯების (კომერციული და გაყიდვების ოფისების) ჯამი უნდა გამოაკლდეს ზემოაღნიშნულ ხარჯების ჯამს.

გ) შპს „მობიტელის“ მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების მოდელის მიხედვით საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის კოეფიციენტი არ შეესაბამება კომისიის მიერ გაანგარიშებულ 2012 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობას „Rm“-ს (9.4%). ასევე ცხრილი N 3.9 -ში წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის სასესხო კაპიტალის შესახებ არასწორია, გადაანგარიშებით მიღებული შედეგები მოცემული ცხრილი N 3.10-ში).

„ა“, „ბ“ და „გ“ შენიშვნების კორექტირებით მიღებული შედეგები 2012 წლის და 2013 წლის 5 თვის პერიოდისთვის მოცემულია ცხრილი N 3.13-ში.

| | 2012 | 2013 წლის 5 თვე |
|---|---------------|-----------------|
| 2G ხმოვან საქმიანობაზე გადანაწილებული დანახარჯები, ლარი | 54 542 849 | 24 478 795 |
| 2G ხმოვან საქმიანობაზე გადანაწილებული აქტივები ნარჩენი ღირებულებით, ლარი | 129 292 667 | 117 552 761 |
| WACC% | 10,16% | 10,16% |
| 2G ხმოვან საქმიანობაზე საქმიანობაზე გადანაწილებული ტრაფიკი, წთ | 2 455 807 390 | 1 170 224 234 |
| ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნებული დანახარჯები ერთ წუთზე | 0,028 | 0,025 |
| ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნებული დანახარჯები დგს-ს და აქციზის გათვალისწინებით | 0,036 | 0,033 |

4. კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა კომისიას გააცნო აგრეთვე, საერთო ხასიათის შენიშვნები და განმარტებები შპს „მათიკომის“, შპს „ჯეოსელის“ და შპს „მობიტელის“ მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების მოდელების თაობაზე:

1. ბეტა

WACC- ის გაანგარიშებაში β - ბეტა კოეფიციენტი წარმოადგენს მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულების საქმიანობასთან დაკავშირებულ სისტემურ რისკს. კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” მიხედვით „ბეტა” კოეფიციენტის ოდენობა განისაზღვრება კომისიის მიერ კონკრეტული ავტორიზებული პირის საკუთარი კაპიტალის მოგებიანობის ცვალებადობის, დარგში ამავე მაჩვენებლის საშუალო ოდენობასთან რაოდენობრივი კავშირის გათვალისწინებით. ამ მეთოდოლოგიური წესების მიხედვით, ავტორიზებული პირის მიერ გაანგარიშებებში მოცემული ე.წ. ”ბეტა” კოეფიციენტის რიცხვით მნიშვნელობასა და ექვივალენტურ საერთაშორისო ბენჩმარკს შორის განსხვავება არ უნდა აღემატებოდეს 15 პროცენტს (21-ე მუხლის 4-ე პუნქტი).

„Damodaran On-line - Stern School of Business at New York University-ის“ მიერ სამოცდათექვსმეტი სატელესაკომუნიკაციო კომპანიის უახლესი მონაცემების საფუძველზე დათვლილი ბეტა კოეფიციენტის საშუალო ოდენობა შეადგენს 1,15-ს.

წყარო: http://pages.stern.nyu.edu/~adamodar/New_Home_Page/datafile/Betas.html

ცხრილი N4.1-ში მოცემულია კომპანიების მიერ გაანგარიშებში გამოყენებული ბეტა კოეფიციენტის მაჩვენებლის საერთაშორისო ბენჩმარკთან შედარება.

| | | განსხვავება |
|------------------------|------|-------------|
| საერთაშორისო ბენჩმარკი | 1,15 | ბენჩმარკთან |
| შპს „მაგთიკომი“ | 1,11 | -4% |
| შპს „ჯეოსელი“ | 1,02 | -13% |
| შპს „მობიტელი“ | 1,15 | 0% |

კომპანიების მიერ გაანგარიშებებში გამოყენებული ბეტა კოეფიციენტის საერთაშორისო ბენჩმარკთან შედარებით ირკვევა, რომ კომპანიების მიერ გამოყენებული კოეფიციენტის საერთაშორისო ბენჩმარკთან განსხვავება არ აღემატება 15 %-ს, რაც შეესაბამება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებულ ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”.

დათქმა: კომპანიებს ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელში გამოყენებული ბეტა კოეფიციენტის გაანგარიშება არ წარმოუდგენიათ.

2. წლიური საპროცენტო განაკვეთი

კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” მიხედვით, ”r” - წლიური საპროცენტო განაკვეთი, იანგარიშება შემდეგი ფორმულით: $r=(1+Rcd182/2)^2-1$, სადაც: Rcd182 - 182 დღიანი (ექვსთვიანი) ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველადი განთავსების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობაა.

ცხრილი N 4.2 -ში მოცემულია ეროვნული ბანკის 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველადი განთავსების 2012 წლის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობის შედარება კომპანიების მიერ WACC- ის გაანგარიშებაში გამოყენებულ საპროცენტო განაკვეთთან.

ცხრილი N 4.2

| ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების საშუალო საპროცენტო განაკვეთი | | |
|--|-------|-------------|
| | | განსხვავება |
| შპს „მაგთიკომი“ | 6,25% | 0,07% |
| შპს „ჯეოსელი“ | 6,36% | 0,19% |
| შპს „მობიტელი“ | 6,05% | -0,12% |

კომპანიების მიერ გაანგარიშებში გამოყენებული აღნიშნული საშუალო შეწონილი განაკვეთის ეროვნული ბანკის 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველადი განთავსების 2012 წლის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობის შედარებიდან ირკვევა, რომ განსხვავება არ არის არსებითი მატერიალობის თვალსაზრისით (1 %-ზე ნაკლებია). კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს კომპანიების მიერ წარმოდგენილ ურთიერთჩართვის ტარიფის კალკულაციაში მაკორექტირებელი გაანგარიშებები არ გაუკეთებია.

დათქმა: რადგან WACC-ის გაანგარიშების მიზნებისათვის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის საშუალო ოდენობა „Rm“ კომისიამ იანგარიშა მხოლოდ 2012 წლის ფინანსური მონაცემების მიხედვით (2013 წლის ფინანსური შედეგების შესახებ მონაცემები კომპანიებმა უნდა წარმოადგენონ 2014-ში), ამიტომ ეროვნული ბანკის 182 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების პირველადი განთავსების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის გასაშუალოებულ ოდენობად ცხრილ N4.2-ში მოცემული შედარების მიზნით აღებულ იქნა 2012 წლის ბოლო ექვსი თვის მაჩვენებელი.

3. აქტივების მიმდინარე ღირებულებით აღრიცხვა

კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული "ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების" 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, აქტივების ღირებულება (დატვირთული კაპიტალი) უნდა განისაზღვროს თანამედროვე აქტივების მიმდინარე ღირებულების აღრიცხვის პრინციპის შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა საჭიროებს კომპანიების მხრიდან, კომპანიების ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გადაფასებას, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს ქონების გადაფასების ექსპერტების მოწვევას, რაც შრომატევად და ძვირადღირებულ პროცესს წარმოადგენს. ისტორიულად, აღნიშნული წესების დამტკიცებიდან ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშება ეფუძნება არა თანამედროვე აქტივების მიმდინარე ღირებულების აღრიცხვის პრინციპს, არამედ აქტივების ისტორიული ღირებულების აღრიცხვის პრინციპს. მოცემული კვლევის ფარგლებში სამივე კომპანიამ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელი წარმოადგინა აქტივების ისტორიული ღირებულებით აღრიცხვის პრინციპის შესაბამისად. იგივე საკითხი განხილული იქნა კომისიის მიერ 2013 წლის 17 ივლისის N450/18 გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომისთვის“, შპს „ჯეოსელისთვის“ და შპს „მობიტელისთვის“ კომისიაში აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნისას. აღნიშნული წარმოების ფარგლებში კომისიამ 2013 წლის 1 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება N658/22, რომლის შესაბამისადაც კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია შპს „მაგთიკომის“, შპს „ჯეოსელის“ და შპს „მობიტელის“ მიერ კომისიის 2013 წლის 17 ივლისის N 450/18 გადაწყვეტილებით განსაზღვრული 2012 წლის და 2013 წლის 6 თვის პერიოდისთვის შემოსავლების და ხარჯების განცალკევებული ანგარიშის მომზადება აქტივების (დატვირთული კაპიტალის) ისტორიული ღირებულების გამოყენების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

4. წარმოდგენილი გაანგარიშების უტყუარობა

შპს „კავკასიის ციფრულ ქსელსა“ და შპს „მაგთიკომს“, შპს „ჯეოსელს“ და შპს „მობიტელს“ შორის დავის განხილვისას (2013 წლის 21 ივნისის N407/22 გადაწყვეტილება) კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა დავის განხილვის რეჟიმში გაიანგარიშა ერთ წუთზე

ზარის წამოწყება/დასრულების მომსახურების შიდა გადაცემის/მოხმარების საბითუმო ღირებულება შემდეგი მიდგომით: მობილური ხმოვანი სატელეფონო ზარების საცალო მომსახურების შემოსავალს გამოაკლდა იმ ხარჯების ჯამი (რეალიზაციის ხარჯები და ურთიერთჩართვის ხარჯები), რომელსაც ოპერატორი არ გასწევდა იმ შემთხვევაში, რომ ჰქონოდა მხოლოდ საბითუმო მომსახურება და არ ჰქონოდა საცალო მომსახურება. მიღებული შედეგი გაიყო ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის ოდენობაზე. რაც შეეხება მოგებას, რომელიც შეადგენს მობილური ხმოვანი სატელეფონო ზარების საცალო მომსახურების ღირებულების ნაწილს (საცალო ფასი= მომსახურების შიდა გადაცემის/მოხმარების საბითუმო ღირებულებას + რეალიზაციის ხარჯები + მოგება), საცალო მომსახურების შემოსავლებიდან რეალიზაციის ხარჯების გამოკლების შემდეგ დარჩა მომსახურების შიდა გადაცემის/მოხმარების საბითუმო ღირებულების შემადგენლობაში.

განგარიშების შედეგები კომპანიების მიხედვით 2012 წლის და 2013 წლის 3 თვის პერიოდისთვის იყო შემდეგი:

- შპს „მაგთიკომი“ – 0,016 ლარი/ წუთი (გადასახადების გარეშე);
- შპს „ჯეოსელი“ – 0,018 ლარი/ წუთი (გადასახადების გარეშე);
- შპს „მობიტელი“ – 0,0077 ლარი/ წუთი (გადასახადების გარეშე).

როგორც მიღებული შედეგებიდან ირკვევა, ზემოაღნიშნული დავის და მიმდინარე წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი განგარიშების შედეგები ცალკეულ შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რაც ეჭვს ბადებს ინფორმაციის უტყუარი წარმოდგენის თვალსაზრისით, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში.

5. ურთიერთჩართვის ტარიფის განგარიშების განსხვავებული მოდელები

შპს „მაგთიკომის“, შპს „ჯეოსელის“ და შპს „მობიტელის“ მიერ მიმდინარე წარმოების ფარგლებში მოწოდებული ურთიერთჩართვის ტარიფის განგარიშების მოდელები განსხვავებულია, როგორც მიდგომებით, ასევე დანახარჯების მომსახურების სახეებზე გადანაწილების კრიტერიუმებით. შპს „ჯეოსელის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით კომპანიის დანახარჯები გადანაწილებულია მომსახურების სახეებზე შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით, ხოლო მომსახურების სახეები, რომელზეც მოხდა თავიდანვე ხარჯების გადანაწილება დაჯგუფებულია ერთნაირი საზომით გაზომვადი მომსახურების სახეების მიხედვით.

ცხრილი N 4.5

მომსახურების სახეების დაჯგუფება

| საბითუმო/საცალო | მომსახურების ტიპი | მომსახურების ძირითადი კატეგორია |
|-----------------|--|---------------------------------|
| საცალო | მობილური ხმოვანი | ზარი |
| საცალო | სმს | სმს |
| საცალო | როუმინგი | ზარი |
| საცალო | ინტერნეტი | ინტერნეტი |
| საცალო | სხვა | სხვა |
| საბითუმო | ურთიერთჩართვა | ზარი |
| საბითუმო | საერთაშორისო სატელეფონო ხმოვანი მობილური მომსახურება | ზარი |
| საბითუმო | ქსელის ელემენტებთან დაშვება | სხვა |
| საბითუმო | სხვა | სხვა |

შემდეგ ეტაპზე, მომსახურების ძირითად კატეგორიაზე „ზარი“ შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით მიკუთვნებული ხარჯები გადანაწილდა საბითუმო (ურთიერთჩართვა) და საცალო მომსახურებას შორის კომპანიის მიერ ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის ოდენობის მიხედვით. მოცემული მიდგომით ცალ-ცალკე არ მომხდარა საერთაშორისო ხმოვანი და როუმინგის მომსახურების გამოყოფა. შპს „ჯეოსელის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით კომპანიის ზედნადები ხარჯები საბითუმო და საცალო მომსახურებებს შორის განაწილდა მთლიან ტრაფიკში საბითუმო და საცალო ტრაფიკის პროპორციული წილის მიხედვით.

შპს „მობიტელის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით საერთაშორისო ხმოვანი და როუმინგის მომსახურების ხარჯების გადანაწილებისას, აღნიშნული მომსახურებების დანახარჯებიდან თავიდანვე ცალკე გამოიყო ხმოვანი მომსახურებების ხარჯები, შემდეგ ეტაპზე 2G მომსახურების ტრაფიკთან დაკავშირებული მომსახურებების (საცალო და ურთიერთჩართვა) ხარჯების ჯამი გაიყო კომპანიის მიერ ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის ოდენობაზე. შპს „მობიტელის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მომსახურების სახეებზე გადანაწილდა კომპანიის ფუნქციონალური საქმიანობების ქვედანაყოფებში მომუშავე თანამშრომლების და შემოსავლების პროპორციული წილის ერთობლივი გაანგარიშებით მიღებული პროცენტული წილის მიხედვით.

შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელის მიხედვით კომპანიის მთლიანი დანახარჯები დაჯგუფდა შემდეგი ძირითადი საქმიანობების (ბიზნეს პროცესების) მიხედვით:

- 1) ოპერირება;
- 2) კომერციული საქმიანობა;
- 3) დამხმარე პროცესები.

შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით დამხმარე პროცესების დანახარჯები (საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ჯამი) გადანაწილდა საოპერაციო და კომერციულ საქმიანობებს შორის, საოპერაციო და კომერციული ხარჯების ჯამში საოპერაციო ხარჯების წილის მიხედვით. ოპერირებაზე გადანაწილების შედეგად მიკუთვნებული ხარჯები გადანაწილდა 2G/3G, CDMA და მაგთისატის მომსახურების სახეებს შორის თანამშრომელთა რაოდენობის პროპორციული წილის მიხედვით (ეს ნაწილი დაკორექტირდა ჩვენს მიერ შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით, იხ. შენიშვნა „ვ“- შპს „მაგთიკომი“); ბოლო ეტაპზე 2G/3G-ზე გადანაწილების შედეგად მიკუთვნებული ხარჯები ხმოვან და არახმოვან მომსახურებებს შორის გადანაწილდა შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით. მიღებული შედეგი გაიყო ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის ოდენობაზე.

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი ეყრდნობა თავად კომპანიების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს და ინფორმაციას, რომელიც არ არის საკმარისი იმის დასადგენად, თუ რა შედეგს მიიღებდა ოპერატორი სხვადასხვა მოდელის გამოყენების შემთხვევაში.

6. გაანგარიშებაში ფაქტიური ტრაფიკის გამოყენება

ურთიერთჩართვის მომსახურების ტარიფის გასაანგარიშებლად, ამ მომსახურებაზე მიკუთვნებული ხარჯები იყოფა ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის მოცულობაზე, ხოლო ტრაფიკის მოცულობა კომპანიების მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით იცვლება პერიოდულად; აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს „ჯეოსელი“ 2013 წლის 22 აგვისტოს N2/261-13

წერილში აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ ჩატარებულმა კონსოლიდირებულმა ტენდერმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტენდერში გამარჯვებული და დამარცხებული კომპანიების (შპს „მაგთიკომის“ და შპს „ჯეოსელის“) ტრაფიკზე, ვინაიდან ტარიფის გაანგარიშებისას ტრაფიკის მოცულობა წარმოადგენს ტარიფის ოდენობის განმსზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს; შესაბამისად, კომპანიებს შორის ტრაფიკის ცვლილება იწვევს გაანგარიშებული ტარიფის მნიშვნელოვან ცვლილებას. ტრაფიკის ცვლილებასთან ერთად მომსახურების საერთო დანახარჯები მნიშვნელოვნად არ იცვლება, მაშინ როდესაც ერთ წუთზე გაანგარიშებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნებული ხარჯის ოდენობა იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ფაქტიური ტრაფიკის გატარება უწევს ოპერატორს.

კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის (შემოსავლების და ტრაფიკის) სიზუსტის დადგენის მიზნით, კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა მიმართა სამსახურებრივი ბარათით კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკურ დეპარტამენტს კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის დადგენის მიზნით განეხორცილებინა კომპანიების მიერ ამ კვლევის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის სტატისტიკურ ბაზასთან შედარება. შედარების შედეგად მნიშვნელოვანი განსხვავებები სტატისტიკურ ბაზასა და შპს „ჯეოსელის“, შპს „მობიტელის“ და შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას შორის არ გამოკვეთილა.

7. შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით ხარჯების გადანაწილება

კომპანიები საერთო (საერთო ადმინისტრაციული) და ერთობლივი (საოპერაციო) ხარჯების გადანაწილების დროს ძირითადად იყენებენ შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით ხარჯების გადანაწილების მეთოდს (იგივე მეთოდი იქნა გამოყენებული ჩვენს მიერ შპს „მაგთიკომის“ მოდელის კორექტირებისას); შემოსავლები ერთ წუთზე საბითუმო (ურთიერთჩართვის) მომსახურებიდან მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე შემოსავლები ერთ წუთზე საცალო მომსახურებიდან; შესაბამისად, შემოსავლების წილი ურთიერთჩართვის მომსახურებიდან, რომელიც შემდეგ გამოყენებულია დანახარჯების გადანაწილებაში, ხელოვნურად ზრდის ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიების მიერ გამოყენებული ხარჯების განაწილების მეთოდით ურთიერთჩართვის მომსახურებას მიეკუთვნა მნიშვნელოვნად მეტი დანახარჯი, ვიდრე მიეკუთვნებოდა ხარჯების განაწილების სხვა ობიექტური კრიტერიუმის გამოყენებისას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე დღეს არსებული საცალო და საბითუმო ფასებს შორის მკვეთრი დისბალანსი ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში ხელოვნურად ზრდის ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მისაკუთვნებელი ხარჯების მოცულობას.

8. დატვირთული კაპიტალის მოცულობა, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები

კომპანიების მიერ წარმოდგენილი ფინანსური მონაცემების მიხედვით გრძელვადიან აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით (აქტივების მომსახურების ვადის მიხედვით); აქტივების მომსახურების ვადა კომპანიების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, სადღურების მომსახურების ვადა 4-დან 8 წლამდეა. აქტივების მომსახურების განსხვავებული ვადები იწვევს დატვირთული კაპიტალის ღირებულების და ასევე ცვეთის ხარჯის განსხვავებული ოდენობის მიღებას. ის აქტივი, რომლის ღირებულების ცვეთა ხდება უფრო სწრაფად (მომსახურების ნაკლები ვადის გამო) უფრო დიდი ცვეთის ხარჯით და ნაკლები საბალანსო ღირებულებით მონაწილეობს ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში; შესაბამისად, კომპანიების მიერ გამოყენებული განსხვავებული ცვეთის

მეთოდი (მომსახურების ვადა) იწვევს ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯის განსხვავებული ოდენობის მიღებას.

9. აუდიტორულად შემოწმებული ფინანსური ანგარიშგებები (ბალანსი, მოგება ზარალი და სხვა უწყისები)

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ყურადღება უნდა იქნას მიქცეული იმ გარემოებაზე, რომ კომპანიების მიერ წარმოდგენილ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელებში გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი ნაწილი (შპს „მაგთიკომისთვის“ და შპს „ჯეოსელისთვის“ 2013 წლის 7 თვის მონაცემები, ხოლო შპს „მობიტელისთვის“ 2012 წელი და 2012 წლის 5 თვე) არ არის აუდიტირებული.

10. ურთიერთჩართვის ზედა ზღვრული ტარიფების ცვლილება

გასულ პერიოდში მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფის შემცირება კომისიის მიერ ხდებოდა ეტაპობრივად, შესაბამისად, ურთიერთჩართვის მომსახურების ტარიფის გაანგარიშების შედეგად მიღებული განსხვავებული შედეგები შემდგომი შემცირების მიზნით განისაზღვრებოდა გარკვეულ დონემდე (2011 წლის 18 ნოემბრის N 657 / 9 გადაწყვეტილებით: შპს „მაგთიკომისთვის“ და შპს „ჯეოსელისთვის“ – 8 თეთრი, შპს „მობიტელისთვის“ 11 თეთრი), ამიტომ ამ მიდგომით დაწესებული ზედა ზღვრული ტარიფის გაანგარიშების სიზუსტეში მცირე ცდომილება მატერიალურობის თვალსაზრისით არ იყო არსებითი;

იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ზედა ზღვრული ტარიფის არა ეტაპობრივი, არამედ პირდაპირ საბოლოო მონაცემებამდე შემცირების შესახებ, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს მიაჩნია, რომ კომპანიების მიერ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელები უნდა გახდეს უნიფიცირებული ერთი და იგივე მიდგომებით და დანახარჯების გადანაწილების მაქსიმალურად მსგავსი კრიტერიუმებით, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება კომისიისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობის დადასტურება.

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე, კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის (თ. ტყემელაშვილი) მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება და ზედა ზღვრული ტარიფის რეგულირების სამომავლო გეგმა; კერძოდ, როგორც კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა აღნიშნა, საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა ძირითადად შესაბამისობაშია 2002 წლის ევროდირექტივებთან (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2002/21/EC, 2002/20/EC, 2002/19/EC, 2002/22/EC, 2002/58/EC დირექტივები), იგი არ ითვალისწინებს მხოლოდ 2002 წლის შემდგომ ევროდირექტივებში შეტანილ ზოგიერთ ცვლილებას და ევროკომისიის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების (DCFTA) ხელმოწერასთან ერთად საქართველო იღებს ვალდებულებას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები ეტაპობრივად მოიყვენოს შესაბამისობაში ევროკავშირის ფარგლებში არსებულ რეგულაციებთან.

ევროკომისიის 2005 წლის 19 სექტემბრის N 2005/698/EC რეკომენდაცია ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვისა და ხარჯთაღრიცხვის სისტემების შესახებ ითვალისწინებს მარეგულირებლის მიერ დადგენილი/დათვლილი ტარიფების დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად კლების/შემცირების შესაძლებლობას,

რათა გათვალისწინებულ იქნას ოპერატორების ბიზნეს გარემო და შემცირდეს ბაზრის სეგმენტზე შესაბამისი სატარიფო რეგულაციით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური რისკ-ფაქტორები.

ზემოხსენებულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროპის ქვეყნებში ზარის დასრულების ტარიფების ეტაპობრივად კლების პრაქტიკა (glide path), რომლის ძირითად არგუმენტსაც წარმოადგენს სწორედ მოცემულ ბაზარზე ტარიფების მნიშვნელოვანი კლებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური ეფექტების შემცირება, რაც თავის მხრივ, საშუალებას აძლევს ოპერატორებს მოახდინონ დაწესებულ სატარიფო რეგულაციებთან/შემცირებულ ტარიფებთან თავიანთი ბიზნეს მოდელის მორგება და მომავალ პერიოდში გათვალისწინება.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოწინავე მარეგულირებლების მიერ მობილურ ქსელებში ზარის დასრულების ტარიფების ე.წ. „glide path“ მეთოდით შემცირების პრაქტიკა ქვეყნების მიხედვით შემდეგია:

1. ირლანდია

2005 წელს ირლანდიის მარეგულირებელმა (ComReg) გამოსცა მობილურ ქსელში ზარის დასრულების საკონსულტაციო დოკუმენტი, სადაც გამოთქვა არგუმენტირებული მოსაზრება, რომ ირლანდიის მობილურ ბაზარზე მოქმედი ზარის დასრულების ტარიფები არ ასახავდა და შესაბამისად აღემატებოდა მოცემული მომსახურების გაწევისათვის ოპერატორების მიერ გაღებულ ეფექტურ ხარჯებს და ოპერატორებს მიუთითა ტარიფების ეტაპობრივად შემცირების (glide path) აუცილებლობაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საპასუხოდ მობილური ოპერატორები გამოვიდნენ ინიციატივით და მარეგულირებელთან შეთანხმებით იკისრეს ვალდებულება მომდევნო 2 წლის განმავლობაში (01/01/2006 – 31/12-2007) ეტაპობრივად შეემცირებინათ მათ ქსელებში ზარის დასრულების მოქმედი ტარიფები. ამავე დროს ოპერატორებმა გამოთქვეს მზადყოფნა დაეწყოთ ტარიფების 5 წლიანი ეტაპობრივი შემცირება, რომლის შედეგადაც 2012 წლის 1 იანვრისათვის ტარიფი შემცირდებოდა 7,99 ევრო ცენტამდე. აღნიშნული სქემის მიხედვით Vodafone-ს და O2-ს ყოველწლიურად უნდა შეემცირებინათ მათ ქსელში ზარის დასრულების ტარიფი 3,5%-ით, ხოლო Meteor-ი შეამცირებდა ტარიფს შემდეგი სქემის მიხედვით: 01/01/2008 – 5%; 01/01/2009 – 5%; 01/01/2010 – 6,5%; 01/01/2011 – 10,5%; 01/01/2012 – 13%.

2009 წელს მობილური ოპერატორები გამოვიდნენ ახალი ინიციატივით, რომლის მიხედვითაც მათ (მარეგულირებელთან შეთანხმებით) მობილური ზარის ტერმინაციის ტარიფის 5,00 ევროცენტამდე შემცირების ვალდებულება აიღეს. აღნიშნული ინიციატივა ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ 2006-2009 წლებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მობილური ზარის ტერმინაციის საშუალო ტარიფი 40%-ით შემცირდა და შესაბამისად, ირლანდიაში მოქმედი ზარის ტერმინაციის ტარიფი აღემატებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტარიფების საშუალო მაჩვენებელს.

2012 წელს ირლანდიის მარეგულირებელმა (ComReg) შეაფასა მობილურ ქსელებში ზარის დასრულების კუთხით არსებული სიტუაცია და გადაწყვიტა რომ ზარის დასრულების ტარიფები საჭიროებს გადახედვას, სადაც მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფები გაანგარიშებული უნდა იყოს ევროკომისიის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიის (LRIC) შესაბამისად. ComReg-მა დასახული მიზნის მისაღწევად გადაწყვიტა, შუალედურ პერიოდში - 2014 წლის ბოლომდე გამოეყენებინა ე.წ. ბენჩმარკინგის მეთოდი, რომელიც გულისხმობს, რომ ირლანდიაზე მორგებული მოდელით მობილურ ქსელებში ზარის დასრულების ტარიფების BU-LRIC-ით გაანგარიშებამდე (ანუ 2014 წლის ბოლომდე), ოპერატორები განახორციელებდნენ ზარის დასრულების ტარიფების ეტაპობრივ კლებას ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნების ფარგლებში არსებული მობილური ზარის

დასრულების ტარიფების საშუალო მაჩვენებლამდე, რომლებსაც ზარის დასრულების ტარიფი დათვლილი ჰქონდათ სწორედ BU-LRIC მეთოდით.

ირლანდიაში მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის ეტაპობრივი შემცირება

| ირლანდიაში მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფი (ევროცენტი) (glide path) | | | | | | | | |
|--|----------|-------------|----------|-------------|----------|-------------|-----------|--------------------|
| ოპერატორი | 2010 | | 2011 | | 2012 | | 2013 | |
| | 1 აპრილი | 1 ოქტომბერი | 1 აპრილი | 1 ოქტომბერი | 1 აპრილი | 1 ოქტომბერი | 1 იანვარი | 1 ივლისი და შემდეგ |
| Vodafone | 7.80 | | 7.00 | | 5.00 | 4.15 | 2.60 | 1.04 |
| O2 | 7.80 | | 7.00 | | 5.00 | 4.15 | 2.60 | 1.04 |
| Meteor | 9.40 | 8.80 | 7.90 | 7.50 | 5.60 | 5.00 | 2.60 | 1.04 |
| H3GI | | | | | | | 2.60 | 1.04 |
| TMI (MVNO) | | | | | | | 2.60 | 1.04 |
| Lycamobile(MVNO) | | | | | | | 2.60 | 1.04 |

ირლანდიაში მობილურ ქსელებში ზარის დასრულების სატარიფო რეგულაცია ეყრდნობოდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მობილური ოპერატორების მიერ ტარიფების ნებაყოფლობით ეტაპობრივ შემცირებას (მარეგულირებელთან შეთანხმებით) „glide path“, სადაც მარეგულირებლის მიერ არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების ტარიფების ხარჯებზე ორიენტირებულობის შეფასება და/ან ტარიფის გაანგარიშება, არამედ ტარიფები შესაბამისობაში მოდიოდა ევროპის ქვეყნებში ზარის დასრულების ტარიფების საშუალო მოსალოდნელ მაჩვენებელთან.

2012 წელს ირლანდიის მარეგულირებელმა გარდამავალ პერიოდში (2014 წლის ბოლომდე) BU-LRIC ბენჩმარკინგის მეთოდით მობილურ ქსელებში ზარის დასრულების ტარიფის გაანგარიშების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო სატელეკომუნიკაციო სექტორში მსოფლიო მასშტაბით ცნობილი საკონსულტაციო ფირმის “Analisys Mason”-მიერ მომზადებული ანგარიშის (Fixed and mobile termination rates in Ireland) საფუძველზე. ComReg-მა 2012 წლის გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორები (მათ შორის ორი ვირტუალური მობილური ოპერატორი) დაავალდებულა ეტაპობრივი კლების პრინციპით მისულიყვნენ LRIC ბენჩმარკინგით დაანგარიშებულ საბოლოო საშუალო ტარიფამდე (1.04 ევროცენტამდე). ირლანდიის მარეგულირებლის გადაწყვეტილება, ისევე როგორც ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნების მარეგულირებლების გადაწყვეტილებები (გარდა საფრანგეთისა), რომლებმაც BU-LRIC -ით დაიანგარიშეს და დაადგინეს ზარის დასრულების ტარიფები გასაჩივრებულ იქნა ოპერატორების მიერ და ეს საკითხი დღესაც დავის საგანს წარმოადგენს.

ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულებასთან დაკავშირებით ირლანდიის მარეგულირებელმა იხელმძღვანელა ე.წ. „glide path“ მეთოდით და 2012 წელს ჩატარებული კვლევისა და ტარიფის LRIC-ით გაანგარიშების საფუძველზე შეიმუშავა ტარიფების ეტაპობრივი კლების სქემა.

2. გაერთიანებული სამეფო

2011 წელს გაერთიანებული სამეფოს მარეგულირებელმა ორგანომ (Ofcom) განახორციელა მობილურ ქსელში ზარის დასრულების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევა და ანალიზი და გაიანგარიშა მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფი LRIC მეთოდოლოგიით, რომელმაც შეადგინა 0.69 პენსი/წუთში, ხოლო აღნიშნულ ტარიფამდე მისასვლელად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს განუსაზღვრა ოთხწლიანი ეტაპობრივი შემცირების (glide path) პერიოდი ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. Ofcom-მა მიიჩნია, რომ ტარიფის შემცირების მოცულობის გათვალისწინებით ოთხწლიანი ვადა, სადაც ტარიფის ყოველწლიური შემცირება განხორციელდებოდა ერთგვაროვანი პროცენტული (დაახლოებით 36%-იანი) მაჩვენებლის მიხედვით, იყო ადეკვატური იმისთვის, რომ მაქსიმალურად შემცირებულიყო მობილურ ბაზარზე ზარის დასრულების ტარიფის მკვეთრი ვარდნით გამოწვეული ნეგატიური ეფექტი.

გაერთიანებული სამეფოში მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის ეტაპობრივი შემცირება

| გაერთიანებული სამეფო | ზარის დასრულების ზედა ზღვრული ტარიფი | | | | |
|---------------------------------------|--------------------------------------|---------|---------|---------|---------|
| | პენსი/წუთში | | | | |
| ოპერატორი | 2010/11 | 2011/12 | 2012/13 | 2013/14 | 2014/15 |
| Vodafone / O2 / Everything Everywhere | 4.18 | 2.664 | 1.698 | 1.083 | 0.69 |
| H3G | 4.48 | 2.664 | 1.698 | 1.083 | 0.69 |

3. ესპანეთი

2009 წელს ესპანეთის მარეგულირებელმა ორგანომ (CMT – commission del Mercado de las Telecomunicaciones), ზარის დასრულების ტარიფის BU-LRIC მეთოდით დაანგარიშებამდე, შეიმუშავა ტარიფების თანმიმდევრული შემცირების გეგმა (glide path), რომელიც მოიცავდა 3 წლიან პერიოდს, 6 თვიანი ინტერვალებით (10/2009 – 04/2012). აღნიშნული გეგმის მიხედვით პირველი ეტაპი ითვალისწინებდა 13%-იან შემცირებას, ხოლო ყოველი მომდევნო ეტაპი 10%-იან შემცირებას.

ესპანეთში მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის ეტაპობრივი შემცირება

| ოპერატორი | წინა პერიოდი (16 აპრ, 2009-15 ოქტ, 2009) | 16 ოქტ, 2009 - 15 აპრ, 2010 | 16 აპრ, 2010 - 15 ოქტ, 2010 | 16 ოქტ, 2010 - 15 აპრ, 2011 | 16 აპრ, 2011 - 15 ოქტ, 2011 | 16 ოქტ, 2011 - 15 აპრ, 2012 |
|--|--|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------|
| Telefonica, Vodafone, Orange და სრული MVNO | 7,00 | 6,12 | 5,50 | 4,95 | 4,45 | 4,00 |
| Yoigo | 10,41 | 9,11 | 7,83 | 6,73 | 5,78 | 4,98 |

2012 წლის თებერვალში ტარიფის BU-LRIC მეთოდით გაანგარიშებისა და ოპერატორებთან კონსულტაციისა და მათ მიერ წაყენებული მოთხოვნებისა და არგუმენტების გათვალისწინებით, ესპანეთის მარეგულირებელმა ორგანომ გამოაქვეყნა 2012 – 2014 წლებში ტარიფის თანმიმდევრული შემცირების ახალი გეგმა, რომლის თანახმადაც არსებული ტარიფის - 4.00/4.98 ევროცენტის 1.09 ევროცენტამდე შემცირება განხორციელდებოდა 5 ეტაპად. სამი მსხვილი ოპერატორისათვის თითოეულ ეტაპი ითვალისწინებდა ტარიფის 0.58 ევროცენტით შემცირებას, რის შედეგადაც მიზნობრივი 1.09 ტარიფი მიღწეულ იქნებოდა 2014 წლის იანვარში (ნაცვლად თავდაპირველად დაგეგმილი 2013 წლის ივლისისა). რაც შეეხება ბაზარზე შედარებით ახლად შემოსულ კომპანია Yoigo-ს, რომელიც ასიმეტრიული ტარიფით სარგებლობდა, მისთვის აღნიშნული 5 ეტაპის განმავლობაში ტარიფი უფრო მკვეთრად მცირდება; კერძოდ: 1-ლ და მე-2 ეტაპზე - 0.91 ევროცენტით ; მე-3 და მე-4 ეტაპზე - 0.75 ევროცენტით, რითაც ახალშემომსვლელის ტარიფი უკვე უთანაბრდება დანარჩენი ოპერატორების ტარიფს და სრულდება ასიმეტრიის ფაზა;

| | არსებული ტარიფი | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | ეტაპი 4 | ეტაპი 5 |
|--|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------|--------------------------|-----------|
| ოპერატორი | 16 ოქტ, 2011 - 15 აპრ, 2012 | 16 აპრ, 2012 - 15 ოქტ, 2012 | 16 ოქტ, 2012 - 15 აპრ, 2013 | 16 აპრ, 2013 - 15 ოქტ, 2013 | 16 ოქტ, 2013 - დეკ, 2013 | იან, 2014 |
| Telefonica, Vodafone, Orange და სრული MVNO | 4,00 | 3,42 | 2,84 | 2,25 | 1,67 | 1,09 |
| Yoigo | 4,98 | 4,07 | 3,16 | 2,41 | 1,67 | 1,09 |

ესპანეთის მარეგულირებლის მხრიდან ტარიფის თანმიმდევრული შემცირების 4 წლიანი ვადა ეფუძნებოდა შემდეგ მოსაზრებებს, კერძოდ:

ა) ტარიფის სწრაფი და მნიშვნელოვანი კლება მოახდენს არასახარბიელო გავლენას აღნიშნულ ბაზარზე;

ბ) ოპერატორებს, რომელთაც ეხებათ აღნიშნული გადაწყვეტილება, შემდგომი 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვთ მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება (4G ქსელის განვითარება, ქსელის გადაწყობა, სიხშირის მოსაპოვებლად ტენდერებში მონაწილეობა), ამიტომ ტარიფის სწრაფი შემცირება ხელს შეუშლის მობილურ ოპერატორებს ადეკვატურად მოახდინონ ადაპტაცია ახალი ტარიფებით საკუთარ ბიზნეს მოდელთან;

გ) ევროპის სხვა ქვეყნების მარეგულირებელმა ორგანოებმაც ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით გამოაქვეყნეს ახალი, გადავადებული „glide path” გეგმები.

4. ბელგიის მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის ეტაპობრივი შემცირება

| | |
|--|---|
| | მობილური ზარის დასრულების მაქსიმალური ტარიფი (ევროცენტი/წუთში) |
|--|---|

| ოპერატორი | აგვისტო, 2010 | იანვარი, 2011 | იანვარი 2012 | იანვარი, 2013 |
|-----------|---------------|---------------|--------------|---------------|
| Proximus | 4,52 | 3,83 | 2,46 | 1,08 |
| Mobistar | 4,94 | 4,17 | 2,62 | 1,08 |
| Base | 5,68 | 4,76 | 2,92 | 1,08 |

5. საფრანგეთის მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის ეტაპობრივი შემცირება

| ოპერატორი | მობილური ზარის დასრულების მაქსიმალური ტარიფი (ევროცენტი/წუთში) | | | | | |
|---------------------|---|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|
| | ბაზრის კვლევის მე-2 რაუნდი | | | ბაზრის კვლევის მე-3 რაუნდი | | |
| | 01/07/ 2010 - 31/12/2010 | 01/01/2011 - 30/06/2011 | 01/07/2011 - 31/12/2011 | 01/01/2012 - 30/06/2012 | 01/07/2012 - 31/12/2012 | 01/01/2013 - 31/12/2013 |
| Orange SFR | 3,0 | 3,0 | 2 | 1,5 | 1 | 0,8 |
| Bouygues Télécom | 3,4 | 3,4 | 2 | 1,5 | 1 | 0,8 |

6. იტალიის მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის ეტაპობრივი შემცირება

| ოპერატორი | მობილური ზარის დასრულების მაქსიმალური ტარიფი (ევროცენტი/წუთში) | | | | | | |
|-----------|---|------------|------------|------------|------------|------------|------------|
| | 01/07/2009 | 01/07/2010 | 01/07/2011 | 01/07/2012 | 01/07/2013 | 01/07/2014 | 01/07/2015 |
| TIM | | | | | | | |
| Vodafone | 7,70 | 6,60 | 5,30 | 4,10 | 2,60 | 1,60 | 0,98 |
| Wind | 8,70 | 7,20 | 5,30 | 4,10 | 2,60 | 1,60 | 0,98 |
| H3G | 11,00 | 9,00 | 6,30 | 5,10 | 3,40 | 1,60 | 0,98 |

როგორც კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, ევროპის მარეგულირებლები ვალდებული არიან ბაზრის შესაბამისი სემენტის კვლევის შედეგები და გადაწყვეტილების პროექტი გადაუზავენონ ევროკომისიას შემდგომი განხილვისათვის, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია რეკომენდაცია გაუწიოს მარეგულირებელს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და/ან გამოსცეს ინდივიდუალური აქტი მარეგულირებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედების შეჩერების ან ქმედების განხორციელების დავალდებულების შესახებ. ზემოთ მოყვანილი მარეგულირებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ტარიფის ეტაპობრივად შემცირების შესახებ შესწავლილი და დადასტურებულია ევროკომისიის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, კომისიამ გაითვალისწინოს ზარის დასრულების ტარიფების ეტაპობრივ შემცირებასთან დაკავშირებით ევროპის ფარგლებში არსებული პრაქტიკა, თუმცა საწყის ეტაპზე კომისიამ, ასევე, უნდა იმსჯელოს შემდეგ ორ საკითხზე:

ა) მიზანშეწონილად მიიჩნევა თუ არა კომისია, თუნდაც ტარიფების ეტაპობრივი კლების პირობებში, ოპერატორების ჭრილში გაანგარიშების განსხვავებულ მოდელებზე დაყრდნობით მიღებული ტარიფების (კერძოდ მაგთიკომი-1,2 თეთრი, ჯეოსელი-2,47 თეთრი და მობიტელი-3,3 თეთრი) საბოლოო ნიშნულად აღებას და ზარის წამოწყება/დასრულების ტარიფის გაანგარიშების დღეს არსებული მეთოდოლოგიის შენარჩუნებას;

ბ) გეგმავს თუ არა კომისია უახლოეს მომავალში, როგორც ზარის წამოწყებისათვის, ისევე ზარის დასრულებისათვის ევროკომისიის მიერ რეკომენდებული მოდელის, კერძოდ აქტივების მიმდინარე ღირებულებით (CCA) აღრიცხვისა და კალკულაციის მომავალ პერიოდზე ორიენტირებული (LRIC) მოდელის დანერგვას.

კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღება ასახვას პოულობს არა მარტო ბაზრის ამ სეგმენტთან ვერტიკალირად ურთიერთდამოკიდებულ ბაზრის სხვა სეგმენტებზე, არამედ შესაბამის გავლენას ახდენს ჰორიზონტალურად დაკავშირებულ ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურების სხვა სახეებზე; შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს: ა) ზარის წამოწყებისა და ზარის დასრულების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განცალკევება/გამიჯვნა და ბ) ფიქსირებულ ბაზარზე ზარის წამოწყება/დასრულების ტარიფების იმავე მეთოდოლოგიით გადახედვა, რომელიც გამოყენებულ იქნება მობილურ ბაზარზე ზარის წამოწყებისა და დასრულების ტარიფების გასაანგარიშებლად. ზარის წამოწყებისა და ზარის დასრულების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განცალკევება/გამიჯვნა აუცილებელი იქნება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ვეროპის ფარგლებში არსებულ მარეგულირებელ ნორმებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად და ასევე ევროკომისიის მიერ რეკომენდებული (LRIC) მეთოდოლოგიის დასაწერად.

ზარის დასრულების ტარიფების შესახებ BEREC-ის მიერ მომზადებული დოკუმენტის (Termination Rates Benchmark Snapshot) მიხედვით, რომელიც მოიცავს როგორც ევროკავშირის წევრი, ასევე არა-წევრი ქვეყნების მონაცემებს (სულ 36 ქვეყანა), 2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მოცემულ ქვეყნებში მობილურ ქსელში ზარის დასრულების საშუალო შეწონილი ტარიფი 1,9 ევროცენტს და მარტივი საშუალო არიტმეტიკული ტარიფი 2,58 ევროცენტს შეადგენს, ხოლო ფიქსირებულ ქსელში (ადგილობრივი) ზარის დასრულების საშუალო ტარიფი 0,5 ევროცენტის ტოლია. BEREC-ის მიერ მომზადებული დოკუმენტის ფარგლებში ყოველი კონკრეტული ქვეყნის მობილურ ქსელში ზარის დასრულების საშუალო ტარიფი მოიცავს შესაბამისი ქვეყნის ფარგლებში მოქმედი ყველა იმ მობილური ოპერატორის ტარიფს, რომლის საბაზრო წილიც 1,5 %-ს აღემატება.

მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში ზარის დასრულების რეგულაციის კუთხით ევროპის მასშტაბით წლების განმავლობაში არსებობდა განსხვავებები, კერძოდ ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა პრაქტიკა და მიდგომა იყო ზარის დასრულების მომსახურების ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების დადგენის და მათზე შესაბამისი ვალდებულებების დაკისრების კუთხით; აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, 2009 წელს, ევროკომისიამ გამოსცა რეკომენდაცია ფიქსირებულ და მობილურ ქსელებში ზარის დასრულების ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებით.

ევროკომისიის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ, ვინაიდან ზარის დასრულების მომსახურების მიმწოდებელ ოპერატორებს, როგორც წესი სურვილი გააჩნიათ და რეგულირების არარსებობის შემთხვევაში შეუძლიათ დაადგინონ ხარჯებზე გაცილებით უფრო მაღალი ურთიერთჩართვის ტარიფები, ყოველივე ეს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის კონკურენციის

ხელშეწყობას, ამიტომ ხარჯებზე ორიენტაციის ვალდებულება წარმოადგენს ზარის დასრულების ტარიფის რეგულირების საუკეთესო მექანიზმს.

ასევე, ევროკომისიამ რეკომენდაციის ფარგლებში განსაზღვრა, რომ ფიქსირებულ და მობილურ ქსელებში ხარჯებზე ორიენტირებული ზარის დასრულების ტარიფების დაანგარიშებისას გამოყენებულ უნდა იქნეს: დანახარჯთა მიმდინარე ღირებულებით (CCA) აღრიცხვისა და კალკულაციის მომავალ პერიოდზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი ხარჯების მოდელი (LRIC), სადაც გათვალისწინებული იქნება ეფექტური (ეტალონური) ოპერატორის ქსელში ზარის დასრულებისათვის საჭირო მხოლოდ ნაზარდი ხარჯები.

ვინაიდან, ევროკომისიის მიერ რეკომენდებული სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის მოდელი ითვალისწინებს არა კონკრეტული, არამედ (ეტალონური) ეფექტური ოპერატორის ხარჯებს, ამიტომ მოცემული მეთოდოლოგია, უზრუნველყოფს ტარიფების სიმეტრიულობას. მოცემული მეთოდი გულისხმობს, რომ ოპერატორები დროის გონივრულ პერიოდში უნდა გახდნენ ეფექტურები და მათ უნდა აუნაზღაურდეთ ზარის დასრულებასთან დაკავშირებული მხოლოდ ეფექტურად გაწეული ხარჯები. თუმცა რეკომენდაციაში ასევე გათვალისწინებულია, შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, ასიმეტრიული ტარიფების დაწესების შესაძლებლობა, ბაზარზე ახალშემომსვლელისათვის (ბაზარზე შემოსვლიდან მაქსიმუმ 4 წელი) და/ან მობილურ ბაზარზე ოპერატორებს შორის სიხშირეების ასიმეტრიული განაწილების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეულია ოპერატორისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებს, რომლებმაც ევროკომისიის მიერ რეკომენდებული LRIC მეთოდოლოგიით უკვე განახორციელეს მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის გაანგარიშება, მათი საშუალო ტარიფი 1,04 ევროცენტს შეადგენს.

ცხრილი N 5.1

ევროპის ქვეყნების მიხედვით საშუალო ტარიფის ცხრილი

| ევროკავშირის წევრი ქვეყანა | მობილურ ქსელში ზარის დასრულებისათვის LRIC -ით გაანგარიშებული მიზნობრივი ტარიფი (ევროცენტი/წუთი) |
|----------------------------|---|
| დანია | 1,07 |
| საფრანგეთი | 0,8 |
| პორტუგალია | 1,27 |
| ესპანეთი | 1,09 |
| დიდი ბრიტანეთი | 0,99 |
| ბელგია | 1,08 |
| იტალია | 0,98 |
| საშუალო | 1,04 |

კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის შემთხვევაში დანახარჯების მოდელი ეყრდნობა ევრო რეკომენდაციებით განსაზღვრულ იგივე პრინციპებს, რომლის ამოსავალი წერტილიც არის

ეფექტური (ეტალონური) ოპერატორის ქსელი და მისი ხარჯები, ტარიფებს შორის განსხვავება გამოწვეულია ყოველი კონკრეტული ქვეყნისა და ყოველი კონკრეტული ქვეყნის შესაბამისად აგებული ეფექტური ოპერატორის ქსელის მოდელის ფარგლებში არსებული ობიექტური განსხვავებული ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა ქვეყნის ტოპოგრაფია, მოსახლეობის სიმკვრივე, აბონენტების პენეტრაცია, მობილურ ქსელში წამოწყებული და დასრულებული წუთების რაოდენობა, ეტალონური ეფექტური ქსელის ძირითადი და ადგილობრივი დაშვების ქსელის ინფრასტრუქტურის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯები და ა.შ.

ირლანდის მარეგულირებელმა ცხრილი N 5.1-ში მოცემული ქვეყნების მიერ მობილურ ქსელში ზარის დასრულებისათვის LRIC -ით გაანგარიშებული ტარიფების საშუალო ნიშნული გამოიყენა ირლანდიაში გარდამავალ ეტაპზე ხარჯებზე ორიენტირებული ზარის დასრულების ტარიფის დასადგენად.

კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ოპერატორების მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების მოდელზე დაყრდნობით და კომისიის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ კორექტირების შედეგად მიღებული ტარიფების (2013 წლის მონაცემებით მაგთიკომის ხარჯებზე ორიენტირებულმა ტარიფმა შეადგინა -1,2 თეთრი, ჯეოსელის ტარიფმა - 2,47 თეთრი, ხოლო მობიტელის ტარიფმა - 3,3 თეთრი) მონაცემები ცხადყოფს, რომ მობილურ ქსელში ზარის წამოწყება/დასრულების დღეს არსებული ზედა ზღვრული ტარიფები აღარ შეესაბამება რეალობას და საჭიროებს შემცირებას. თუმცა ასევე ცხადია, რომ არაობიექტური იქნება, მოცემული ტარიფების საბოლოო ნიშნულად აღნიშნული მონაცემების აღება, ერთი უმთავრესი მიზეზის გამო. კერძოდ, ოპერატორების ჭრილში ტარიფების გაანგარიშების განსხვავებული მოდელები (რომლებიც განსხვავდება როგორც ძირითადი პრინციპების, ასევე დანახარჯების მომსახურების სახეებზე გადანაწილების კრიტერიუმებით) და ამგვარი განსხვავებული მოდელებით ყოველი კონკრეტული ოპერატორისათვის გაანგარიშებული საფასური ვერ უზრუნველყოფს მოცემული ბაზრის სეგმენტზე კონკურენტული გარემოს განვითარების ხელშეწყობას და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების ერთგვაროვანი და არადისკრიმინაციული რეგულირების ჩარჩოებში მოქცევას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ იმ შემთხვევაში თუ კომისია შეინარჩუნებს ზარის წამოწყება/დასრულების ტარიფის გაანგარიშების დღეს არსებულ მეთოდოლოგიას, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების ზარის დასრულების ტარიფები დათვლილ უნდა იქნას ერთგვაროვანი, უნიფიცირებული გაანგარიშების მოდელზე დაყრდნობით. შესაბამისად, თუ კომისია მიზნად ისახავს შეინარჩუნოს აქტივების ისტორიული ღირებულებით აღრიცხვისა და ტარიფის გაანგარიშების დღეს არსებულ მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მზადაა წარმოადგინოს მოსაზრებები ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელების ოპერატორების ჭრილში უნიფიცირების კუთხით განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულების (WACC) გამოთვლის, ასევე ცვეთისა და ამორტიზაციის საკითხები.

იმ შემთხვევაში, თუ კომისია მიზნად ისახავს მიმართოს საკანონმდებლო ორგანოს შესაბამისი წინადადებებით საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემთხვევაში ზარის დასრულების ბაზარზე ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფების დასაანგარიშებლად დაინერგოს ევროკომისიის მიერ რეკომენდებული მოდელი, კერძოდ აქტივების მიმდინარე ღირებულებით (CCA) აღრიცხვისა და კალკულაციის მომავალ პერიოდზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი ხარჯების LRIC მოდელი, სადაც დღევანდელი მოდელისაგან განსხვავებით, გათვალისწინებული იქნება არა კონკრეტული ოპერატორის, არამედ მხოლოდ ეფექტური (ეტალონური) ოპერატორის ქსელში ზარის

დასრულებისათვის საჭირო ნაზარდი ხარჯები, უმჯობესია კომისიამ იხელმძღვანელოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მარეგულირებლობების პრაქტიკით, კერძოდ, გარდამავალ ეტაპზე, მობილურ ქსელში ზარის დასრულებისთვის ევროპის ქვეყნების მიერ LRIC -ით გაანგარიშებული ტარიფების საშუალო მაჩვენებელი გამოყენებულ იქნას ხარჯებზე ორიენტირებული ზარის დასრულების ტარიფის საბოლოო ნიშნულის დასადგენად (ე.წ. ბენჩმარკინგი) და დაიწყოს აღნიშნული მიდგომით დადგენილ ნიშნულამდე არსებული ტარიფების ეტაპობრივი შემცირება, ხოლო მას შემდეგ, რაც კომისია განახორციელებს საქართველოს მახასიათებლების გათვალისწინებით ეფექტური (ეტალონური) ოპერატორის ქსელში ზარის დასრულების ტარიფების (pure-LRIC-ით) გაანგარიშებას და ზარის წამოწყების საფასურს განსაზღვრავს (მაგალითად, LRAIC ან LRAIC+ მოდელით), უკვე რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ კომისიის მიერ LRIC -ით გაანგარიშებული ტარიფი განსხვავებული იქნება ევროპის ქვეყნების მიერ იგივე მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ტარიფების საშუალო მაჩვენებლისგან უნდა მოხდეს ტარიფების შესაბამისი კორექტირება.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2013 წლის 29 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომაზე ისევე, როგორც 2013 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირების მოსაზრებები, კერძოდ:

ეკა იმედაძემ, შპს „მობიტელის“ ფინანსურმა მენეჯერმა აღნიშნა რომ, შპს „მობიტელს“ მიაჩნია, რომ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელში უნდა იყოს გათვალისწინებული საგადასახადო ხარჯები (მათ შორის ქონების გადასახადის ხარჯი), ფინანსური და საექვო დებიტორული დავალიანების დანახარჯები და ასევე გრძელვადიანი აქტივების ღირებულების გაუფასურებასთან დაკავშირებული დანახარჯები; ე.იმედაძემ ასევე აღნიშნა, რომ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელში არ უნდა იყოს გათვალისწინებული შიდა ტრაფიკის გაორმაგებული ოდენობა. ე. იმედაძემ შპს „ჯეოსელის“ და შპს „მათიკომის“ მიერ წარმოდგენილ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ კომპანიების მიერ წარმოდგენილი მოდელების მიხედვით საერთაშორისო მობილური ხმოვანი მომსახურება ცალკე არ არის გამოყოფილი მობილური ხმოვანი მომსახურებიდან, მაშინ, როდესაც შპს „მობიტელის“ მიერ წარმოდგენილი ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელიში ეს მომსახურება ცალკეა გამოყოფილი სხვა მომსახურებებისგან; აღნიშნულ მიდგომებს შორის განსხვავება იწვევს გაანგარიშებით მიღებულ ურთიერთჩართვის ტარიფებს შორის 5-6%-იან განსხვავებას.

ე. იმედაძემ აღნიშნა, რომ შპს „მობიტელმა“ განიხილა ურთიერთჩართვის ტარიფების შემცირების ორი განსხვავებული ვარიანტი და შესაბამისად წარმოადგინა კომპანიის ორი ბიზნეს მოდელი: 1. ურთიერთჩართვის ტარიფების გაანგარიშებით მიღებულ ბოლო ნიშნულამდე მოკლე დროში (ერთ ეტაპად) შემცირება და 2. ურთიერთჩართვის ტარიფების ეტაპობრივად (ექვს თვეში ერთხელ) გაანგარიშებით მიღებულ ბოლო ნიშნულამდე 2015 წლის მეორე ნახევრამდე შემცირება.

პირველი მოდელის მიხედვით 2014 წლის განმავლობაში შპს „მობიტელის“ ტრაფიკი იზრდება 45%-ით, რაც თავის მხრივ ტრაფიკის უზრუნველსაყოფად საჭიროებს 2014 წელს 109 დამატებითი საბაზო სადგურის მშენებლობას, ხოლო 2015 წელს კიდევ დამატებით 38 სადგურის მშენებლობას. აღნიშნული საკითხის უზრუნველსაყოფად შპს „მობიტელს“ ესაჭიროება დამატებითი ინვესტიციების განხორციელება (ტექნიკური მოწყობილობების შესყიდვა დამონტაჟებას დაახლოებით ესაჭიროება 8-12 თვე).

მეორე მოდელის მიხედვით ურთიერთჩართვის ტარიფი მცირდება 2014 წლის პირველი ივლისიდან სამივე მობილური ქსელის ოპერატორისთვის 27%-ით, შემდეგ 2015 წლის პირველი იანვრიდან 25%-ით, ხოლო 2015 წლის პირველი ივლისიდან 40%-ით. ურთიერთჩართვის ტარიფის

ზემოთ აღნიშნული შემცირება იწვევს შპს „მობიტელის“ ტრაფიკის 2014 წელს 20%-ით და 2015 წელს 32%-ით გაზრდას. გაზრდილი ტრაფიკის უზრუნველსაყოფად შპს „მობიტელს“ ესაჭიროება 2014 წელს დამატებით 59 საბაზო სადგურის მშენებლობა, ხოლო 2015 წელს კიდევ დამატებით 45 სადგურის მშენებლობა.

ე. იმედაძემ ასევე აღნიშნა, რომ შპს „მობიტელი“ კონკურენტ კომპანიებთან შედარებით („ჯეოსელი“ და შპს „მაგთიკომი“) ფლობს ნაკლებ სიხშირულ რესურსს, რაც თავის მხრივ აისახება საბაზო სადგურების ტევადობაში; აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „მობიტელს“ კონკურენტებთან შედარებით უწევს უფრო მეტი საბაზრო სადგურის მშენებლობა. ე. იმედაძემ აღნიშნა, რომ ევროკომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, თუ კომპანიაზე მოქმედებს გარეშე ფაქტორი, ისეთი როგორცაა სიხშირული სპექტრის არათანაბარი განაწილება, მაშინ კომპანიების მიხედვით ურთიერთჩართვის ტარიფის ასიმეტრიულობა მიზანშეწონილია.

კომისია აღნიშნავს, რომ ე. იმედაძის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მოსაზრებები მოცემულია ასევე შპს „მობიტელის“ 2013 წლის 2 დეკემბრის N851/13 წერილში.

ლ. გიორგაძემ, შპს „ჯეოსელის“ იურისტმა აღნიშნა, რომ შპს „ჯეოსელს“ კვლევის შედეგებთან დაკავშირებით გააჩნია შემდეგი სახის შეკითხვები: 1. როგორ უნდა მიიღოს კომისიამ გადაწყვეტილება, მაშინ, როდესაც შპს „მობიტელს“ სრულად არ წარმოდგენია აღნიშნული კვლევის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაცია? 2. ხომ არ არის აუცილებელი კომპანიების მიერ წარმოდგენილი მონაცემების აუდიტორული შემოწმებით დადასტურება?

კომისია აღნიშნავს რომ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიაში შემოსულია შპს „მაგთიკომის“ 2013 წლის 29 ნოემბრის N13/220-5 წერილი. ამ წერილში შპს „მაგთიკომი“ კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის დასკვნაში (კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის დასკვნა მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) ტარიფის გაანგარიშების მოდელის შესახებ) მოცემულ შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელის შენიშვნებთან დაკავშირებით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს, კერძოდ:

შენიშვნა N1, ტარიფის გაანგარიშების მოდელში (კაპიტალის ღირებულებაში) უნდა მონაწილეობდეს მხოლოდ ის ძირითადი საშუალებები, რომლებიც აუცილებელია მომსახურების მისაწოდებლად; შესაბამისად, ნეტო სამუშაო კაპიტალი (მიმდინარე აქტივებს მინუს მიმდინარე ვალდებულებები) და აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გაანგარიშებში არ უნდა მონაწილეობდეს. შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელში ასეთი აქტივების ჯამი 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 32, 976,795 ლარს, ხოლო 2013 წლის 7 თვის მონაცემებით შეადგენს 64,718,735 ლარს.

შპს „მაგთიკომის“ პოზიციით აღნიშნული ეწინააღმდეგება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებს”, რადგენ ამ დადგენილების დანართი N2-ში მოცემული დატვირთული კაპიტალის განაწილება ცალსახად მიუთითებს, რომ სავაჭრო დებიტორები, სავაჭრო კრედიტორები, სხვა დებიტორები და გრძელვადიანი გარიგებიდან გამომდინარე ფასიანი ვალდებულებები გადანაწილებული უნდა იქნას ყველა სახის საქმიანობებზე. შესაბამისად, მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები და გამოკლებული ნაღდი ფული გათვალისწინებული უნდა იქნეს ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში.

შენიშვნა N2, ტარიფის გაანგარიშების მოდელში (კაპიტალის ღირებულებაში) უნდა მონაწილეობდეს მხოლოდ ის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რომლებიც აუცილებელია მომსახურების მისაწოდებლად; შესაბამისად დამხმარე პროცესების (ფინანსები, ადმინისტრაცია, სათაო ოფისი, იურიდიული სამსახური) უზრუნველყოფისთვის საჭირო ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები და ამ აქტივების დატვირთული კაპიტალის ხარჯი, რომელიც 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 5,266,446 ლარს, ხოლო 2013 წლის 7 თვის მონაცემებით შეადგენს 3,094,383 ლარს, ზემოაღნიშნული ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში არ უნდა მონაწილეობდეს.

შპს „მაგთიკომის“ პოზიციით აღნიშნული ეწინააღმდეგება კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების”. კერძოდ, ამ დადგენილების დანართი #1-ში მოცემული საოპერაციო დანახარჯების განაწილება მიუთითებს, რომ სათაო ოფისის, მმართველობითი, ბუღალტერიის, შენობის შენახვის და სხვა ზედნადები დანახარჯები გადანაწილებული უნდა იქნას ყველა სახის საქმიანობებზე. შესაბამისად თუ ამ საქმიანობების საოპერაციო ხარჯები რელევანტურია ტარიფის კალკულაციისთვის, ასევე რელევანტურია მათი კაპიტალური დანახარჯებიც.

შენიშვნა N3, შპს ”მაგთიკომის” მიერ მოწოდებული მოდელის გაანგარიშების თანდართულ ელექტრონულ დოკუმენტში „PPE Rollforward 2012 FINAL GNCC 26072013“, ფურცელზე - „Depr Charge 2012“ თბილისის და ქუთაისის საწყობებში არსებული ძირითადი საშუალებების ცვეთა, თანხით 3,564,133 ლარი, მონაწილეობს ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში. ამავე დოკუმენტის ფურცელზე - „NET Value“ დაუმთავრებელი მშენებლობა, თანხით 4,874,290 ლარი, მონაწილეობს კაპიტალის ღირებულებაში. იგივე ტიპის შენიშვნები 2013 წლის 7 თვის მონაცემებით შეადგენს - ცვეთა - 1,158, 713 ლარს, ხოლო დაუმთავრებელი მშენებლობა - 10, 634, 073 ლარს. ზემოაღნიშნული აქტივები და ცვეთის ხარჯი ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში არ უნდა მონაწილეობდეს.

შპს „მაგთიკომის“ პოზიციით, კომპანიის შიდა პროცედურების შესაბამისად, კომპანიის ერთი საბაზო სადგურიდან მეორე საბაზო სადგურზე აქტივის გადატანისათვის აუცილებელია, რომ აქტივი დაბრუნდეს შესაბამის საწყობში (თბილისი ან ქუთაისი) და ამის შემდეგ გავიდეს იმ სადგურზე, სადაც ხდება მისი მონტაჟი; წარმოდგენილი მონაცემები ეხება ამ აქტივების საწყობში ერთი დღით (2012 წლის 31 დეკემბრი) ფიზიკურად ყოფნას. შესაბამისად, დროის გარკვეულ მონაკვეთში საწყობში არსებულ ექსპლოატაციაში მყოფ აქტივებზე დარიცხული ცვეთა, წარმოადგენს კომპანიის დანახარჯების შემადგენელ განუყოფელ ნაწილს და მისი ხარჯი უნდა მონაწილეობდეს მოდელის გაანგარიშებაში, რადგან „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები“ შემუშავებულია „საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) პრინციპების შესაბამისად“ და აქედან გამომდინარე, მოდელის გაანგარიშებაში გამოყენებული შემოსავლების და ხარჯების აღიარების საფუძველს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნა წარმოადგენს; აღნიშნული სტანდარტების (ბასს 16-ის) მიხედვით ძირითად საშუალებაზე არ უნდა შეწყდეს ცვეთის დარიცხვა, მაშინაც კი როდესაც აქტივი ხდება გამოუყენებელი ან აქტივი გასულია მომსახურებიდან; ასევე, ბასს 16-ის მიხედვით „ძირითადი საშუალების ღირებულება უნდა აღიარდეს აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება“. კომპანიის მიერ, „დაუმთავრებელ მშენებლობად“, განიხილება ის აქტივები, რომელიც დამონტაჟებულია (ან აშენებულია), მომავალში ეკონომიკური სარგებელის მიღების მიზნით. აქედან გამომდინარე,

დაუმთავრებელი მშენებლობა აუცილებლად უნდა შედიოდეს კაპიტალის ღირებულების გაანგარიშებაში.

შენიშვნა N4, WACC არ არის გაანგარიშებული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილების მიხედვით. კერძოდ, გაანგარიშებაში გამოყენებული საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთი განსხვავდება კომისიის მიერ 2012 წლის ფინანსური მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ავტორიზებული პირების საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთის გასაშუალოებული ოდენობისგან („Rm“-ის (9.4%).

შპს „მაგთიკომის“ პოზიციით, 2013 წლის 12 მაისს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD-ის) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის („საქართველოს კომუნიკაციის სექტორის პოლიტიკა და რეგულირების ხელშეწყობა - ელექტრონული კომუნიკაციის სექტორის პოლიტიკა საქართველოში“) მიხედვით, საქართველოში საკომუნიკაციო სექტორში საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიური განაკვეთი 25-30%-ს შეადგენს. ასევე, შპს „მაგთიკომს“ მიაჩნია, რომ სასესხო კაპიტალის ღირებულება არ უნდა იყოს საკუთარი კაპიტალის ღირებულებაზე მეტი.

შენიშვნა N5, კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები” ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში ქონების გადასახადის მონაწილეობას არ ითვალისწინებს. შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ქონების გადასახადის ხარჯი, რომელიც მონაწილეობს ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში 2012 წლისთვის შეადგენს 3,508,743 ლარს, ხოლო 2013 წლის 7თვისთვის შეადგენს 1,211,913 ლარს.

შპს „მაგთიკომმა“ კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებში” მსგავსი აკრძალვა ვერ იპოვა, ამიტომ მიაჩნია, რომ ქონების გადასახადი არის ისეთივე ხარჯი, როგორც ელექტროენერჯის ხარჯი და ორივე აუცილებლად უნდა ღებულობდეს მონაწილეობას ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებაში.

შენიშვნა N6, დამხმარე პროცესების და საოპერაციო ერთობლივი დანახარჯების გადანაწილებისას შპს „მაგთიკომმა“ გადანაწილების კრიტერიუმად გამოიყენა თანამშრომლთა 2G/3G, CDMA და მაგთისატის ქსელების მიხედვით რაოდენობა. გაანგარიშებაში გამოყენებული თანამშრომლების რაოდენობის დეტალური მონაცემები ბიზნეს მიმართულებების და საშტატო განრიგის მიხედვით მოცემულია ცხრილი N 2.14-ში, ცხრილი N 2.15-ში და ცხრილი N 2.16-ში. კერძოდ, შპს „მაგთიკომის“ მოსაზრებით, 2G/3G ქსელს, ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით, ემსახურება 511 თანამშრომელი, ხოლო CDMA ქსელს - 8 თანამშრომელი, რაც ობიექტურად არ ასახავს სურათს. 2G/3G -ის ოპერირების თანამშრომლების სიაში (ცხრილი N 2.15) მოცემული თანამშრომლების მნიშვნელოვანი რაოდენობა საერთოა, როგორც 2G/3G, ასევე CDMA ქსელისთვის (მაგალითად, 2012 წლის მონაცემებით 330 მეთვალყურე და 43 ენერგეტიკოსი). კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტისთვის მონაცემების გადამოწმებით იმის გარკვევა არ არის შესაძლებელი, თუ რომელი თანამშრომელი რომელ ქსელს რა მოცულობით ემსახურება; ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მსგავსი მიდგომის გამოყენება რაც სხვა ხარჯების გადანაწილებისას მოხდა - დამხმარე პროცესების და საოპერაციო ერთობლივი დანახარჯები უნდა გადანაწილდეს მომსახურების სახეებზე შემოსავლების პროპორციული წილის მიხედვით, რადგან ჩვენთვის ინფორმაცია შემოსავლების შესახებ უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე სხვა სახის ინფორმაცია.

შპს „მაგთიკომი“ არ ეთანხმება კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიდგომას და მზად არის კომისიას მიაწოდოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

შენიშვნა N7, შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში ხმოვანი მომსახურების პროპორციული წილის გაანგარიშებაში არ არის გათვალისწინებული შემოსავალები ურთიერთჩართვის მომსახურებიდან; ხმოვანი მომსახურების წილის შემოსავლებში 6%-ით შემცირებამ გამოიწვია ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მისაკუთვნილებელი ხარჯების და შესაბამისად, ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნილებული ხარჯის შპს „მაგთიკომისთვის“ საზიანოდ შემცირება. 2012 წლის მონაცემებით მისაკუთვნილებელი ხარჯები შემცირებულია 8,424,656 ლარით, ხოლო 2013 წლის 7 თვის მონაცემებით - 4,713,919 ლარით (თანხები ასახავს მოდელის კორექტირებამდე გაანგარიშების სხვაობას).

შპს „მაგთიკომი“ სრულად ეთანხმება აღნიშნულ შენიშვნას.

შენიშვნა N8, ვინაიდან მობილურ ქსელში განხორციელებული შიდა ზარი კომპუტირდება საკომუტაციო სადგურში და რადიოდაშვების ქსელის ელემენტებს მოიხმარს როგორც ზარის წამომწყები აბონენტიდან საკომუტაციო სადგურამდე, ასევე საკომუტაციო სადგურიდან გამომავალ აბონენტთან სიგნალის მიწოდებისას, ამიტომ შიდა განხორციელებული ტრაფიკი დანახარჯების განაწილების მოდელში ასახული უნდა იყოს, როგორც ზარის წამომწყებაზე, ასევე ზარის დასრულების ტრაფიკის ოდენობაში. შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილ მოდელში, ხარჯების განაწილებისას კომპანიის ქსელის შიგნით განხორციელებული შიდა ტრაფიკი გათვალისწინებულია მხოლოდ ერთხელ. ამიტომ შპს „მაგთიკომის“ მოდელში წარმოდგენილი საკუთარ მობილურ ქსელში განხორციელებული შიდა ტრაფიკის მონაცემებში ტრაფიკი გათვალისწინებული უნდა იქნას ორმაგი ოდენობით (ზარის წამომწყება და ზარის დასრულება). ცხრილი N 2.20-ში მოცემულია ინფორმაცია ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის შესახებ. 2012 წლის ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის ოდენობას უნდა დაემატოს 2,090,141, 142 წუთი (შიდა ტრაფიკი), ხოლო 2013 წლის 7 თვის ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის ოდენობას 1,766,313,902 წუთი (შიდა ტრაფიკი).

შპს „მაგთიკომი“ არ ეთანხმება ზემოაღნიშნულს და მიაჩნია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში მსაგავსი მიდგომა არ არსებობს. შპს „მაგთიკომი“ აღნიშნავს, რომ ფინანსური მოდელის ვარგისიანობის შემოწმების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს ამ მოდელის არსებული მონაცემებით გადამოწმება წარმოადგენს. მოდელში არსებული შიდა ტრაფიკის გაორმაგებით ოპერატორის მიერ ურთიერთჩართვის საქმიანობიდან საკუთარი ურთიერთჩართვის ხარჯების 2/3-ის ანუ 67%-ის ამოგება მოხდება, ხოლო დანარჩენი 33% (1/3) ოპერატორის მიერ სხვა სახის (საცალო) საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან უნდა დაიფაროს.

შპს „მაგთიკომი“ აღნიშნულ წერილში ასევე აღნიშნავს, რომ მოცემული კვლევა ჩატარებულია არაკომპეტენტურად და რიგ შემთხვევებში მიკერძოებულად. ამის ერთ-ერთ მიზეზად (ერთადერთი მიზეზი, რადგან სხვა მიზეზები არ არის დასახელებული წერილში) ასახელებს ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების ერთიანი გამართული მეთოდოლოგიის არ არსებობას.

შპს „მაგთიკომი“ 2013 წლის 29 ნოემბრის N13/220-5 წერილში ასევე აღნიშნავს, რომ კომისიამ არ უნდა განახორციელოს ზედა ზღვრული ტარიფების შემცირება კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის დასკვნაში მოცემულ საბოლოო მონაცემებამდე შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი საკუთარ დასკვნაში მიუთითებს, რომ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ტარიფის გაანგარიშების მოდელი განსხვავებულია, როგორც მიდგომებით, ასევე დანახარჯების მომსახურების სახეებზე გადანაწილების კრიტერიუმებით. ამდენად, არ არსებობს ის ერთგვაროვანი მიდგომა და კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას მისცემს კომისიას, განახორციელოს ურთიერთჩართვის ზედა ზღვრული ტარიფის დადგენა საბოლოო მონაცემებზე დაყრდნობით. აუცილებელია მკაცრად დადგენილი, ერთგვაროვანი მიდგომებისა და გაანგარიშების უნიფიცირებული მოდელის არსებობა, რათა ტარიფების დადგენისას არ დაირღვეს კანონით გათვალისწინებული თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რომელიც ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ერთ-ერთი ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს. აღნიშნული საფრთხის შესახებ თავად კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტიც მიუთითებს საკუთარ დასკვნაში და აღნიშნავს, რომ თუ კომისიის მიერ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ტარიფის არა ეტაპობრივად, არამედ პირდაპირ საბოლოო მონაცემებამდე შემცირების შესახებ, კომპანიების მიერ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელები უნდა გახდეს უნიფიცირებული ერთი და იგივე მიდგომებით და დანახარჯების განაწილების მაქსიმალურად მსგავსი კრიტერიუმებით, ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობის დადასტურება;

ბ) რაც შეეხება გაანგარიშების უტყუარობას, დეპარტამენტი მიუთითებს, მობილურ ოპერატორებსა და შპს „კავკასიის ციფრული ქსელებს“ შორის არსებულ დავაზე, როდესაც დეპარტამენტი შეეცადა დაედგინა ერთ წუთზე ზარის წარწყება/დასრულების მომსახურების შიდა მოხმარების საბითუმო ღირებულება. აღნიშნული გაანგარიშების და დღევანდელი დასკვნის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავებულია და დეპარტამენტისთვის ეჭვს ბადებს ინფორმაციის უტყუარობის თვალზასრისით. ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დავის ფარგლებში კომისიამ დაავალდებულა ოპერატორები წარმოადგინონ გაანგარიშება, რომელიც დამოწმებული იქნება საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერ. ამდენად, კომისია დავის ფარგლებში შეეცადა თავიდან აერიდებინა გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არ იქნებოდა დაფუძნებული მონაცემების უტყუარობაზე. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ურთიერთჩართვის ტარიფების დადგენას, რომელიც ნამდვილად არ ჩამოუვარდება თავისი სერიოზულობითა და მნიშვნელობით დავის ფარგლებში განხილულ საკითხს (უფრო მეტიც, ორივე საკითხი მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან), კომისია ვერ იხელმძღვანელებს იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლის უტყუარობის დადასტურება ვერ ხერხდება;

გ) ინფორმაციის უტყუარობაზე საუბრისას, აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შპს „მობიტელის“ მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის აუდიტირებული, აგრეთვე არ არის აუდიტირებული შპს „მაგთიკომის“ და შპს „ჯეოსელის“ მხრიდან წარმოდგენილი 2013 წლის 7 თვის მონაცემები, რაც წარმოადგენს გაანგარიშებისას გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს. ასევე გასათვალისწინებელია, ის გარემოება რომ შპს „მობიტელის“ მხრიდან საერთოდ არ არის წარმოდგენილი 2013 წლის 2 თვის მონაცემები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებას, რომ დასკვნაში წარმოდგენილი მონაცემებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი ურთიერთჩართვის, მით უმეტეს, ასიმეტრიული ტარიფების სამართლიანად დადგენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც არსებობს ავტორიზებულ პირებს შორის ურთიერთჩართვის ტარიფის 200%-იანი სხვაობა, მისი პირდაპირ საბოლოო ნიშნულამდე დადგენა დაარღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ობიექტურობის და არადისკრიმინაციულობის მოთხოვნას;

დ) კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ მას არ

გააჩნდა საკმარისი და შესაბამისი ინფორმაცია (როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური) იმისათვის, რომ შეედარებინა, თუ სხვადასხვა მოდელის გამოყენებით რა შედეგს მიიღებდნენ ოპერატორები. აღნიშნული გარემოება, კიდევ ერთი დასტურია იმისათვის, რომ ერთგვაროვანი მიდგომების და კრიტერიუმების არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელია ზედა ზღვრული ტარიფის დადგენა დასკვნაში მოცემულ საბოლოო შედეგებამდე;

ე) გაანგარიშებისას ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს განხორციელებული ტრაფიკი (მომსახურებაზე მიკუთვნებული ხარჯები იყოფა ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის მოცულობაზე). ტრაფიკის მოცულობა არის ცვლადი, რაც იწვევს გაანგარიშებული ტარიფის ცვლილებას, მაშინ როდესაც მომსახურების დანახარჯები არ იცვლება. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ურთიერთჩართვის ზღვრული ტარიფების დადგენისას საუბრობს „გრძელვადიან ტენდენციაზე“. როგორც უკვე აღინიშნა, ტრაფიკი ცვლადია და „გრძელვადიან ტენდენციაზე“ საუბრისას ცალკე უნდა გამოიყოს კონსოლიდირებული (სამთავრობო) ტენდერი, ვინაიდან აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ტრაფიკი მნიშვნელოვნად იზრდება. ურთიერთჩართვის მომსახურების ტარიფის გასაანგარიშებლად, კი ამ მომსახურებაზე მიკუთვნებული ხარჯები იყოფა ფაქტიურად განხორციელებული ტრაფიკის მოცულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შეიცვლება, პროპორციულად შეიცვლება მისი ტრაფიკის ოდენობა. გამოდის, რომ ყოველი ტენდერის ჩატარების შემდგომ, კომისიამ თავიდან უნდა დაიწყოს კვლევა და ყოველ ჯერზე დაადგინოს კომპანიებისათვის ურთიერთჩართვის ზღვრული ტარიფები;

ვ) ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ურთიერთჩართვის ზღვრული ტარიფის დასკვნაში მოცემული გაანგარიშებით მიღებულ საბოლოო ნიშნულამდე არაეტაპობრივი შემცირება, ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კომპანიების მხრიდან წარმოდგენილი მონაცემების უტყუარობის დადასტურების გარეშე, განსხვავებული მიდგომების და განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენებით დადგენილ შედეგებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება, წინააღმდეგობაში მოვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ თანასწორუფლებიანობის, ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებთან. ორი თანაბარი ძალის მქონე ავტორიზებულ პირს შორის ურთიერთჩართვის ტარიფის 100%-იანი სხვაობა, ვერანაერად ვერ ჯდება ობიექტურობის კრიტერიუმში და სახეზე გვექნება აშკარა დისკრიმინაციული მიდგომა. ასევე გასათვალისწინებელია, ის გარემოება რომ ურთიერთჩართვის ტარიფების მკვეთრად დაკლება ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლის მოთხოვნას, კერძოდ, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების პრინციპის დაცვას. ურთიერთჩართვის ტარიფის დასკვნაში მითითებულ საბოლოო მონაცემებამდე შემცირება, რომელიც თითქმის 6-ჯერ ამცირებს ტარიფს, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნულ პრინციპთან. აღნიშნული ასევე წინააღმდეგობაში მოდის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან, რომლის შესაბამისადაც კომისიის ძირითად ამონაცანას წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების მფლობელი ავტორიზებული პირების მიერ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა. კანონმდებელი კონკურენციის რეგულაციების მიზნების განხორციელებისას კომისიას ავალდებულებს, ხელი შეუწყოს ავტორიზებულ პირებს ინვესტიციების წახალისებასა და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვაში. აღნიშნული მუხლი გულისხმობს, როგორც ბაზარზე ახალი შემომსველელი პირის, აგრეთვე ბაზარზე უკვე არსებული პირებისათვის სათანადო გარემოს შექმნას. ურთიერთჩართვის ტარიფის ასეთი მკვეთრი ცვლილება, ნამდვილად ვერ გახდის დარგს მიმზიდველს არც ინვესტირების მოზიდვისათვის და არც ინოვაციების დანერგვისათვის. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2

პუნქტის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ დაწესებული ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს მომსახურებისათვის გამოყენებულ ქსელის შესაბამის ელემენტებზე, რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, ოპერატორის უფლებას, მიიღოს გაწეულ ინვესტიციებზე გონივრული უკუგება და ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელების შემდგომი განვითარებისა და ოპერატორის საქმიანობის გრძელვადიან პერსპექტივაში გაფართოების შესაძლებლობას;

ზ) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, შენარჩუნება და განვითარება. კონკურენტუნარიანი გარემოს შენარჩუნება ნამდვილად შეუძლებელი გახდება თუ მოძრავი საკომუნიკაციო ბაზრის სეგმენტზე არსებულ სამ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს შორის დაფიქსირებული ურთიერთჩართვის ტარიფი 200%-ით იქნება განსხვავებული ერთმანეთისაგან;

თ) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირთა დადგენა ხორციელდება ობიექტურობის, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, ფუნქციონალური ეკვივალენტობის (ფუნქციონალური კრიტერიუმების ერთგვაროვანი გამოყენების), მინიმალური საჭირო რეგულირების, პროპორციულად თანაზომადი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების, ეფექტიანი კონკურენციის წახალისების, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების გათვალისწინებით. ამდენად, კანონმდებელი მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ძირითად პრინციპებზე საუბრისას მიუთითებს კრიტერიუმების ერთგვაროვან გამოყენებაზე. კანონი, აღნიშნული კონკრეტიზაციის გარეშე, სხვა მუხლებში (კერძოდ, „თანასწორუფლებიანობაზე“ და „დისკრიმინაციის აკრძალვაზე“ საუბრისას), ისედაც ითვალისწინებს ერთგვაროვანი მიდგომის არსებობის აუცილებლობას, ხოლო ხსენებული პუნქტი, პირდაპირ მიუთითებს „ერთგვაროვანი კრიტერიუმების“ არსებობას. ვინაიდან აღნიშნული ნორმა ასევე საუბრობს, „პროპორციულად თანაზომადი“ სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებაზე, აშკარაა, რომ მუხლში გათვალისწინებული „ერთგვაროვანი კრიტერიუმების“ არსებობა, არა მხოლოდ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების გამოვლენისათვის, არამედ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების პირებისათვის სპეციფიკური ვალდებულების, მათ შორის, ურთიერთჩართვის ზღვრული ტარიფის დადგენისას უნდა იქნას გათვალისწინებული. ერთგვაროვანი კრიტერიუმების და მიდგომების არ არსებობას თავად დეპარტამენტი ადასტურებს საკუთარ დასკვნაში და ამდენად ზღვრული ტარიფების დასკვნაში მოცემულ ციფრებთან გათანაბრება პირდაპირ ეწინააღმდეგება ხსენებულ ნორმას;

ი) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი პირდაპირ ავალდებულებს კომისიას, რომ სპეციფიკური ვალდებულება უნდა იყოს როგორც „პროპორციულად თანაზომადი“, აგრეთვე „ობიექტურად დასაბუთებული“. ზღვრული ტარიფი, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს სპეციფიკური ვალდებულების (სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება) ერთ-ერთ სახეს. ამდენად, კომისიის მიერ დაწესებული ზღვრული ტარიფი უნდა იყოს, როგორც „პროპორციულად თანაზომადი“, აგრეთვე ობიექტურად დასაბუთებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს „მაგთიკომს“ მიაჩნია, რომ ერთგვაროვანი მიდგომის,

ერთგვაროვანი კრიტერიუმების დადგენამდე კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით. კომისიის დღემდე არსებული პრაქტიკით თუ ბაზრის სეგმენტის კვლევისა და ანალიზის შედეგად ნათელი იყო ურთიერთჩართვის ტარიფის კლების ტენდენცია, ურთიერთჩართვის ზღვრული ტარიფები მცირდებოდა ეტაპობრივად და არა კვლევის შედეგად მიღებულ საბოლოო ციფრებზე დაყრდნობით.

შპს „მაგთიკომს“ ასევე მიაჩნია, რომ კომისიამ უნდა გაითვალისწინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პრინციპები და მიდგომები (მათ შორის, თანასწორუფლებიანობა, დისკრიმინაციის აკმაღლის, მინიმალური რეგულირების, პროპორციულობის, ობიექტურად დასაბუთებობის პრინციპები) დაადგინოს ყველა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების პირისათვის ერთი ურთიერთჩართვის ტარიფი, რომელიც იმოქმედებს „გაანგარიშების ახალი მოდელის“ დანერგვამდე, რომელიც დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს.

შპს „მაგთიკომი“ აღნიშნულ წერილში ასევე აღნიშნავს, რომ მოცემული დასკვნის საფუძველზე სახეზეა ურთიერთჩართვის ტარიფების კლების ტენდენცია, ამიტომ კომისიამ საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით, ეტაპობრივად უნდა შეამციროს იგი. შპს „მაგთიკომს“ მიაჩნია, რომ ოპტიმალურ გამოსავალს წარმოადგენს ზღვრული ტარიფის დადგენა 6 თეთრის ოდენობით (2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ევროკავშირის წევრ, ასევე არა-წევრ ქვეყნებში მობილურ ქსელში ზარის დასრულების მარტივი საშუალო არითმეტიკული ტარიფი), ამავე დროს, კომისიამ უნდა დაიწყოს მუშაობა ურთიერთჩართვის ტარიფების გაანგარიშების მოდელზე, რომელიც საშუალებას მისცემს დარეგულირდეს ზარის დასრულების ტარიფის დადგენა ევროკომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და რომელიც იქნება უნიფიცირებული, ერთგვაროვან პრინციპზე დაფუძნებული მოდელი.

შპს „მაგთიკომის“ აღნიშნულ წერილში ასევე აღნიშნავს, რომ კომპანია გამოვთქვამს მზადყოფნას აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული პროექტის განხორციელებაში და სხვა ოპერატორების ხელშეწყობით, მოდელის შემუშავებისათვის ერთწლიანი პერიოდი მიაჩნია საკმარისად.

შპს „მაგთიკომის“ 2013 წლის 29 ნოემბრის N13/220-5 წერილს თან ერთვის BEREC-ის (Body of European Regulators for Electronic Communications) 2013 წლის იანვრის ურთიერთჩართვის ტარიფის კვლევის დასკვნა.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „მობიტელს“ დღემდე არ შეუსრულებია კომისიის 2013 წლის 13 სექტემბრის №569/13 გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული ვალდებულება და კომისიაში არ წარმოდგენია 2012 წლის 12 თვის და 2013 წლის 7 თვის მონაცემების საფუძველზე მომზადებული მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების (სატელეფონო ზარების წამოწყების/ დასრულების) ტარიფის გაანგარიშების მოდელი. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „მობიტელს“ მიეცა გაფრთხილება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების დარღვევის გამო; ასევე შპს „მობიტელს“ დაევალა 2012 წლის 12 თვის და 2013 წლის 7 თვის მონაცემების საფუძველზე მომზადებული მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების (სატელეფონო ზარების წამოწყების/ დასრულების) ტარიფის გაანგარიშების მოდელის, შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის, კომისიაში, 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენა (კომისიის 2013 წლის 13 დეკემბრის N742/18 გადაწყვეტილება).

მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი დასკვნების

და ახსნა-განმარტებების, ასევე ავტორიზებული პირების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ახსნა-განმარტებების საფუძველზე, კომისია აღნიშნავს შემდეგს:

კომისია იზიარებს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ დასკვნას მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) ტარიფის გაანგარიშების შესახებ. კერძოდ, ოპერატორების მიერ წარმოდგენილი და კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ კორექტირების შედეგად მიღებულია ურთიერთჩართვის ტარიფების შემდეგი შედეგები: 2013 წლის 7 თვის მონაცემებით შპს „მაგთიკომისვის“ - 1,2 თეთრი, შპს „ჯეოსელისვის“ - 2,47 თეთრი, ხოლო 2013 წლის 5 თვის მონაცემების საფუძველზე შპს „მობიტელისთვის“ - 3,3 თეთრი. კომისია აღნიშნავს, რომ მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ მობილურ ქსელში ზარის წამოწყება/დასრულების დღეს არსებული ურთიერთჩართვის ზედა ზღვრული ტარიფები (შპს „მაგთიკომი“ 8 თეთრი, შპს „ჯეოსელი“ 8 თეთრი, ხოლო შპს „მობიტელი“ 11 თეთრი) აღარ შეესაბამება რეალობას და საჭიროებს შემცირებას;

ამავე დროს, კომისია, იზიარებს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ საერთო ხასიათის შენიშვნებს და განმარტებებს კომპანიების მიერ წარმოდგენილი მოდელების თაობაზე, ისევე როგორც კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის, შპს „მობიტელის“ და შპს „მაგთიკომის“ მოსაზრებებს ზედა ზღვრული ტარიფის ეტაპობრივი შემცირების მიზანშეწონილობის თაობაზე;

კომისია მიუთითებს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ჩატარების, ავტორიზებული პირების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დადგენის, ასევე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას კომისიამ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობები და აღნიშნავს შემდეგს:

ა) საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების (DCFTA) ფარგლებში, საქართველომ იკისრა ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, შესაბამისობაში მოიყვანოს ევროკავშირის ფარგლებში მოქმედ რეგულაციებთან;

ბ) „ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვისა და ხარჯთაღრიცხვის სისტემების შესახებ“ ევროკომისიის 2009 წლის 7 მაისის N 2009/396/EC რეკომენდაცია ითვალისწინებს მარეგულირებლის მიერ დადგენილი/დათვლილი ტარიფების დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად კლების/შემცირების შესაძლებლობას;

გ) იმის გათვალისწინებით, რომ კომისია გრძელვადიან პერსპექტივაში მიზნად ისახავს ოპერატორის მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულების (ურთიერთჩართვის) ტარიფის დაწესებას ევროკომისიის მიერ რეკომენდებული, მომავალ პერიოდზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი ხარჯების LRIC მოდელის საფუძველზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გარდამავალ პერიოდში მობილურ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის საბოლოო ნიშნულის დასადგენად გამოიყენოს ევროპის ქვეყნების მიერ LRIC -ით გაანგარიშებული ტარიფების საშუალო

მაჩვენებელი 1,04 ევრო ცენტი და აღნიშნულ გარდამავალ პერიოდში ურთიერთჩართვის ტარიფის დადგენისას იხელმძღვანელებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების პრაქტიკით, კერძოდ, ევროპის ქვეყნების მიერ LRIC -ით გაანგარიშებული ტარიფების საშუალო მაჩვენებელით გამოყენებული ტარიფის საბოლოო ნიშნულის დასადგენად გამოიყენოს ე.წ. ბენჩმარკინგის მეთოდი და დაიწყოს აღნიშნული მიდგომით დადგენილ ნიშნულამდე არსებული ტარიფების ეტაპობრივი შემცირება;

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ LRIC მოდელით ურთიერთჩართვის ტარიფის ამ მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებული საკონსულტაციო კომპანიის მიერ გაანგარიშებას მომზადებას, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ესაჭიროება დაახლოებით 2 წელი, ხოლო მას შემდეგ, რაც უკვე გაანგარიშებული იქნება LRIC მოდელით ურთიერთჩართვის ტარიფი, შემდეგ მიღებული მონაცემების საფუძველზე უნდა მოხდეს ამ დროისთვის არსებული ტარიფების LRIC მოდელით მიღებულ ტარიფებამდე კორექტირება;

ამდენად, კომისია იზიარებს კომისიის აპარატის სტრატეგიული დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ დასკვნას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ურთიერთჩართვის ტარიფების სიმეტრიულობისკენ სწრაფვის შესახებ;

ევროკომისიის მიერ რეკომენდებული, მომავალ პერიოდზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი ხარჯების LRIC მოდელის საფუძველზე, კომისია მიზნად ისახავს ოპერატორის ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულების (ურთიერთჩართვის) ტარიფის გადახედვას;

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მომრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) ტარიფი შემცირდეს შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

| კომპანიის დასახელება | 2014 წლის 1 მარტიდან, თეთრი, დღე-ს და აქციზის ჩათვლით | 2014 წლის 1 სექტემბრიდან, თეთრი, დღე-ს და აქციზის ჩათვლით | 2015 წლის 1 მარტიდან, თეთრი, დღე-ს და აქციზის ჩათვლით | 2015 წლის 1 სექტემბრიდან, თეთრი, დღე-ს და აქციზის ჩათვლით |
|----------------------|---|---|---|---|
| შპს „მაგთიკომი“ | 6 | 5 | 4 | 3.5 |
| შპს „ჯეოსელი“ | 6 | 5 | 4 | 3.5 |
| შპს „მობიტელი“ | 7 | 5 | 4 | 3.5 |

კომისია დამატებით აღნიშნავს, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ დაწესებული ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს მომსახურებისათვის გამოყენებულ ქსელის შესაბამის ელემენტებზე, რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, შესაბამისად გრაფიკით გათვალისწინებული ეტაპობრივი შემცირების საბოლოო ნიშნულის ფარგლებში სამივე კომპანიას აქვს შესაძლებლობა აინაზღაუროს ურთიერთჩართვის მომსახურების უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-2 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების, 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის, 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. „მომრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ 2010 წლის 21 მაისის №240/9 კომისიის გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნას ცვლილება და მისი 4.5 პუნქტის 2გ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2 გ) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს: შპს „მაგთიკომს“, შპს „ჯეოსელს“ და შპს „მობიტელს“, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაუდგინდეს სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი შემდეგი ოდენობითა და შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

| კომპანიის დასახელება | 2014 წლის 1 მარტიდან, თეთრი, დღე-ს და აქციზის ჩათვლით | 2014 წლის 1 სექტემბრიდან, თეთრი, დღე-ს და აქციზის ჩათვლით | 2015 წლის 1 მარტიდან, თეთრი, დღე-ს და აქციზის ჩათვლით | 2015 წლის 1 სექტემბრიდან, თეთრი, დღე-ს და აქციზის ჩათვლით |
|----------------------|---|---|---|---|
| შპს „მაგთიკომი“ | 6 | 5 | 4 | 3.5 |
| შპს „ჯეოსელი“ | 6 | 5 | 4 | 3.5 |
| შპს „მობიტელი“ | 7 | 5 | 4 | 3.5 |

.3

2. დაევალოს შპს „მაგთიკომს“, შპს „ჯეოსელს“ და შპს „მობიტელს“ 2014 წლის 14 თებერვლამდე საჯაროდ გამოაქვეყნოს წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად განახლებული საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა) და მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა განსაზღვროს არანაკლებ 2 წლის ვადით;

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი სარეზოლუციო (გადაწყვეტილებითი) ნაწილის კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს "მაგთიკომის", შპს "ჯეოსელის", შპს "მობიტელის" ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (ე.ასანძიძე).

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ა. სიხარულიძე

კომისიის წევრი

ს. ბრიტანჭუკი

კომისიის წევრი

ი. მოსეშვილი